საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 ივლისი, 2014 წელი.

№137 (7518)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ისწავლეთ ფეხბურთელებისგან, პოლიტიკოსებო!

③

პანდორას ყუთი

④

როგორ იმართებოდა ბიზნესი ნაცმოძრაობის სასარგებლოდ

საქართველო არშემდგარი სახელმწიფოების რეიტინგში „შესანატრ“ ადგილს იკავებს

⑤

გავბედნიერდით?!

⑥

ნატო გაფართოების საკითხით დაინტერესა

⑧

სულხან-საბა ორბელიანის კვალდა-კვალ ევროპაში

⑨

საპრეზიდენტოთა ახალი თავმჯდომარეები

②

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ადგილობრივი თვითმმართველობა

შიხიაშვილი ალიბეგაშვილმა შეცვალა

თავისუფლების მოედანზე საკრებულოს პირველი სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს ახალი თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი პირველი მოადგილე გიორგი ტყემალაძესთან ერთად ლერმონტოვის ქუჩა 10 ნომერში, ამჟამად არსებულ თბილისის საკრებულოს შენობაში მივიდა, სადაც მას საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი დახვდა.

ირაკლი შიხიაშვილი გიორგი ალიბეგაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში შეუძღვა და მას და მის გუნდს საკრებულოში წარმატებები უსურვა.

კაბინეტის გადაბარების შემდეგ, ყოფილმა და ახალმა თავმჯდომარეებმა ჟურნალისტებისათვის კომენტარი გააკეთეს.

საკრებულოს ახალი თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების„ წევრებმა საჭიროა, მოახდინონ კონსოლიდაცია და ქართული საზოგადოების გაერთიანება, რადგან უამისოდ ქალაქის წინსვლა გართულდება.

— მე იმედი მაქვს, რომ ოპოზიციური პარტიები და სხვები, რომლებიც შემოსული არიან თბილისის საკრებულოში მხარს დაგვიჭერენ. ჩვენი დედაქალაქის საკრებულო უნდა იყოს სიმპათიური და მიმზიდველი თითოეული თბილისელისათვის. როგორც იქნება ჩვენი დედაქალაქი, ისეთი იქნება სხვა თვითმმართველი ქალაქები და ჩვენი ქვეყანა. ამის ამოცანა დავისახეთ და ერთიანი ძალებით შევეცდებით, რომ ეს განვახორციელოთ, — აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

საკრებულოთა ახალი თავმჯდომარეები

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მაღლაკელიძე გახდა. რუსთავში გუშინ მეხუთე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდა. სხდომის დაწყებამდე დეპუტატებს რუსთავის №20 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გაგა აფციაურმა 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი გააცნო და როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარული სისტემით საკრებულოში შესული დეპუტატების ვინაობა დაასახელა. რუსთავის საკრებულოში 17 მანდატი კოალიცია „ქართული ოცნებას„ ერგო, 4 — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ თითო-თითო მანდატი კი „ლეიბორისტებს“, „ნინო ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“, „პატრიოტთა ალიანსს“ და „ჩვენ საქართველოს“.

სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა კახა გურგენიძემ ოპოზიციური ფრაქციის ჩამოყალიბების შესახებ გააკეთა განცხადება. საკრებულომ ფრაქციის შექმნის შესახებ განაცხადი ცნობად მიიღო.

რუსთავის საკრებულოში დღევანდელ სხდომაზე მხოლოდ ერთი „ნაცმოძრაობის“ ოთხკაციანი ფრაქცია ჩამოყალიბდა, რომელსაც წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე კახა გურგენიძე უხელმძღვანელებს.

* * *

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარედ დამოუკიდებელი დეპუტატი **ოთარ ხარჩილავა** აირჩიეს. საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ორი კანდიდატი ოთარ ხარჩილავა და ლევან ჩოჩია იყო წარდგენილი.

კენჭისყრისას ოთარ ხარჩილავას მომხრე 8 დეპუტატი იყო, ლევან ჩოჩიას მომხრე — 7.

* * *

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ დეპუტატი **გოგი ხელაძე** გახდა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მას 30-დან 21 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მის კონკურენტს, დამოუკიდებელ კანდიდატ ემზარ თევდორაძეს კი 9 ხმა ერგო, ერთ ბიულეტენი ბათილი აღმოჩნდა.

როგორც გოგი ხელაძემ განაცხადა, მას სურს, რომ ახლად არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქმეზე იყოს ორიენტირებული. „მთავარია, რომ ჩვენი ამომრჩევლის წინაშე ვიყოთ გამჭვირვალე. იმედია ერთად ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ„, - აღნიშნა გოგი ხელაძემ.

საკრებულოს „ნაციონალი“ წევრი ქალაქის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს უპირისპირდება

ბათუმის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან„ გიორგი კირთაძე საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ახალი თავმჯდომარის ირაკლი ჭეიშვილის განცხადებას ეხმაურება.

როგორც გიორგი კირთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საკრებულოში პროფესიონალთა გუნდი შენარჩუნდეს.

— ძალიან ცუდი განცხადებები კეთდება, ბათუმის მერმა გიორგი ერმაკოვმა არჩევნების მეორე დღესვე განაცხადა, რომ მერიის თანამშრომლებს გაუშვებს სამსახურიდან და ჩაატარებს კონკურსს. როგორც ჩანს, იგივეს გეგმავს ბატონი ჭეიშვილიც, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პროფესიონალთა გუნდი შენარჩუნდეს საკრებულოშიც და მერიაშიც, — აღნიშნა გიორგი კირთაძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ირაკლი ჭეიშვილის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. როგორც გიორგი კირთაძე აცხადებს, გარდა „ქართული ოცნების“ დეპუტატებისა, ჭეიშვილის კანდიდატურას მხარი ოპოზიციურმა პარტიებმაც დაუჭირეს და „ეს ალბათ, ბევრის მთქმელია“.

საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე არჩევის შემდეგ ირაკლი ჭეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, რომ საკადრო ცვლილებები იქნება როგორც საკრებულოს აპარატში ასევე, სხვადასხვა სამსახურში.

ყველას ვთავაზობ, უარი ვთქვათ პერსონალურ ავტომობილებზე

თბილისის საკრებულოს წევრი ალეკო ელისაშვილი პერსონალურ ავტომობილებზე უარის თქმის ინიციატივით გამოდის. ეს ინიციატივა ალეკო ელისაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს შესთავაზა.

— პერსონალურ ავტომობილებზე ვთქვათ უარი, ავტოპარკი დარჩეს საკრებულოს და მისმა წევრებმა საქმის მიხედვით გამოიყენონ ავტომობილები, რომ არ იყოს ისე, როგორც იყო წინა მოწვევის საკრებულოში. მოდით, ახალი ქცევა და კულტურა შევთავაზოთ მოქალაქეებს. კოპენჰაგენის მერი დადის ველოსიპედით, მე ყველას ვთავაზობ უარი ვთქვათ პერსონალურ ავტომობილებზე, — განაცხადა ელისაშვილმა.

◎ ულოცავენ დავით ნარმანიას

ღმერთმა წარმატებით გატაროთ!

კუს ტბის მოყვარულთა საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით მოგილოცავთ, ბატონო დავით, ქალაქ თბილისის მერად არჩევას, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას თქვენს ოჯახთან და თქვენს თბილისთან ერთად.

დიდი იმედით ველით იმას, რომ თქვენი ძალისხმევით თბილისი გადაიქცევა მთელი რეგიონის, ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი ღირსეულ ქალაქად.

კუს ტბის მოყვარულთა საზოგადოება ერთსულოვნად გიდგებით მხარში და გისურვებთ იმ მიზნების სრულად ხორცშესხმას, რაც ჩვენს სამშობლოს და მის დედაქალაქს სასიკეთოდ წაადგება.

ღმერთმა წარმატებებით გატაროთ თქვენს გუნდთან და პოლიტიკურ თანამებრძოლებთან ერთად, ბატონო დავით!

კუს ტბის მოყვარულთა საზოგადოება

◎ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

შეიქმნება ერთობლივი დოკუმენტი

11 ივლისს აკადემიამ განიხილა, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გადმოგზავნილი დოკუმენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესახებ.

როგორც აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ აღნიშნა, პროექტი უკვე განხილულია აკადემიის ყველა განყოფილებაში და იმდღევანდელი შეკრების მიზანი წარმოდგენილი წინადადებების განზოგადოება იყო.

პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: ნოდარ ჭითანავამ, გოგოლა მარგველაშვილმა, ომარ ქეშელაშვილმა, ნაპოლეონ ქარქაშაძემ, ნუგზარ ბაღათურიამ, რევაზ მახარობლიძემ, ელგუჯა შაფაქიძემ, ნოდარ ჩხარტიშვილმა.

აღინიშნა პროექტის დადებითი მხარეები, გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც. მიზანშეწონილად ჩაითვალა წარმოდგენილი და აკადემიაში დამუშავებული პროექტების ბაზაზე ერთობლივი დოკუმენტის შექმნა. საბოლოო დასკვნისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სალომე კიკნაველიძე
(აკადემიის პრესსამსახური)

◎ ინფორმაცია

პროკურატურაში სააკაშვილის დაცვის ყოფილი თანამშრომლები დაიბარეს

პროკურატურაში ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების მიზნით დაიბარეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურში განუცხადეს.

მათი ინფორმაციით, ჩვენების მისაცემად პროკურატურაში სულ დაბარებულია ოთხი პირი.

ესენი არიან „რუსთავი-2-ის“ დაცვის უფროსი რამაზ ლაფაჩიშვილი, მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშია, დაცვის თანამშრომელი გიორგი ლაგურაშვილი და სანდრა რულოვსის დამხმარე გავაზ კულოიანი.

◎ არჩევნების მერე

მერი ძალიან აქტიურ მუშაობას გვპირდება

მელია ნარმანიას გამარჯვებას არ ულოცავს და ჰპირდება, რომ გააკრიტიკებს

თბილისის მერი 72,7 პროცენტით „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ნარმანია გახდა, მისმა კონკურენტმა, ნიკოლოზ მელიამ კი ხმების - 27,3 პროცენტი მიიღო.

„გამარჯვებას იმ კანდიდატს ვერ მოვულოცავ, რომლის გამარჯვებისთვისაც საჭირო გახდა ფინანსური პოლიციისა და ე.წ სუს-ის გაერთიანება და ყოფილი მერის დაკავება, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, როგორც ამ ქალაქში მაცხოვრებელი, დავით ნარმანიას წარმატებას ვუსურვებ, რადგან არ მსურს, რომ მომდევნო სამი წლის მანძილზე გაჩერებული თბილისი ვიხილო! გული დამწყდება, თუ ის დაემსგავსება საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც რეალურად ქვეყნისთვის ვერაფერი ქმედითი ვერ განახორციელა. არ მსურს ვიხილო მერი, რომელიც ვერაფერს გააკეთებს. ეს საფრთხე კი რეალურია“, — განუცხადა for.ge-ს მელიამ, რომელიც ნარმანიას ჰპირდება, რომ მომავალში ხშირად გააკრიტიკებს.

ნიკა მელიას მსგავსად, აქტიურობას საზოგადოებას ნარმანიაც ჰპირდება და ამბობს, რომ ორშაბათიდან ძალიან აქტიურ მუშაობას დაიწყებს.

ყოფილი მინისტრის განცხადებით, კოალიცია შეძლებს, შესაძლებლობების მაქსიმუმის ფარგლებში გააკეთოს ის, რასაც ამომრჩევლებს დაჰპირდნენ.

„თბილისი ძალიან მალე ნახავს ჩემი და ჩემი გუნდის ხელს. ორშაბათიდან ძალიან აქტიურ მუშაობას ვიწყებთ. პირველი რამდენიმე დღე იქნება მოსამზადებელი იმისთვის, რომ ძირითადი საკითხები, რაც მერიაში მუშაობის დაწყებასთან და ჩვენი პროგრამის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული, მოვამზადოთ, რათა ყოველდღიურ რეჟიმში აქტიური მუშაობა დავიწყოთ. ძალიან ბევრი პრობლემა, რაც დედაქალაქში არსებობს, თითოეული ჩვენი მოქალაქის სასიკეთოდ შეიცვლება“, — აღნიშნა ნარმანიამ, რომლის ინფორმაციითაც, პირველივე დღიდან დამტკიცდება მერიასა და გამგეობებში მოქალაქეთა მიღების წესი.

რაც შეეხება ნარმანიას გეგმებს, ყოფილი მინისტრის განცხადებით, მერიის სისტემა სტრუქტურულ ოპტიმიზაციას დაექვემდებარება და მერიაში მუშაობას ყველა პროფესიონალი კადრი გაგრძელებს.

ნარმანიას თქმით, უახლოეს დღეებში, მერის მოადგილეებისა და გამგებლობის კანდიდატები დასახელდება.

„ცალკეული სამსახურების სახეცვლილებას არ გამოვრიცხავ. რაც შეეხება კადრებს, მუშაობას ყველა პროფესიონალი კადრი გააგრძელებს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, ადამიანები, რომლებიც გაფორმებული იყვნენ სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოებში, სხვადასხვა უწყებებში და დატვირთული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, ასეთი ადამიანების ადგილი თბილისის მერიაში ვერ იქნება. შემიძლია, ძალიან მკაცრად ვთქვა - თითოეული ადამიანი, რომელიც არის კვალიფიციური, როცა გამოცხადდება ვაკანსიები, დაიკავებენ იმ ადგილს, რომელსაც ელოდებიან. დედაქალაქის მერია კვალიფიციურმა ადამიანებმა უნდა მართონ და ეს ასეც იქნება“, — განაცხადა ნარმანიამ.

თეონა მანაგაძე

კვირა, რომელიც გამოვიარეთ

იმის მიუხედავად, რომ საძართველოში ჯერარნახული დემოკრატია ნავარდობს (თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურს ვგულისხმობ), გასული კვირის საძართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენები საძართველოს გარეთ განვითარდა. თანაც ისე, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ბედკრული ძვეძანა არავის უსხენებია.

გეიასლოვდება მესამე მსოფლიო ომი

დავიწყოთ ისრაელით, რომელსაც გასულ კვირაში მისმა ისტორიულმა მეტოქემ, პალესტინის არშემდგარმა სახელმწიფომ, რაკეტები დაუშინა.

1948 წლის 14 მაისიდან, ანუ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ისრაელის სახელმწიფომ არაბულ ქვეყნებთან ექვსი დიდმასშტაბიანი ომი და უთვალავი მცირე სამხედრო კონფლიქტი გადაიტანა. უზარმაზარ არაბულ სამყაროსთან უკლებლივ ყველა ომში გამარჯვებული ისრაელის სახელმწიფო გამოვიდა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მას აშშ და სხვა ქვეყნები იარაღით ეხმარებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ებრაელებმა შექმნეს სახელმწიფო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ხოლო არაბებმა, რომლებიც ამ ტერიტორიაზე საუკუნეების მიღმიდან ცხოვრობენ, პალესტინის სრულფასოვანი არაბული სახელმწიფოს შექმნას 1948 წლიდან დღემდე თავი ვერ მოაბეს.

გონიერებასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, ისრაელის ძლიერების მთავარი მიზეზი სწორედ სახელმწიფოებრიობა და ნამდვილი პატრიოტიზმია. ებრაელი პოლიტიკოსები ჯერ ბევრს ფიქრობენ, მერე გადაწყვეტილებას კოლექტიურად იღებენ და მერე ამ გადაწყვეტილებას უეჭველად ასრულებენ. ისე არა, როგორც ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი — გუშინ ერთი უკბილო ბებო შემხვდა და ხვალიდან „ღიმილიანი საქართველოს“ პროექტს ვიწყებო.

რაც შეეხება პალესტინელთა პროვოკაციას, მას ისრაელმა სასტიკი, მე თუ მკითხავთ, მეტისმეტად სასტიკი პასუხი გასცა. როგორც ამბობენ, დაღუპულია 200-მდე პალესტინელი, მათ შორის, ბევრი სამოქალაქო პირი.

ისე, ისრაელის 31 წლის პრემიერ-მინისტრი რომელი იყო, ვინმეს ხომ არ გახსოვთ?

უკრაინაში ვითარება გასულ კვირაშიც ძალიან დაძაბული იყო. უკვე ძნელი გასაგებია, ვინ არიან „სეპარატისტები“ და ვინ — „პატრიოტები“; ვინ დგას „სეპარატისტების“ უკან და ვინ — „პატრიოტებისა“; სინამდვილეში რა სურს ერთ მხარეს და რა — მეორეს... კონფლიქტში ორივე მხრიდან ათი ათასობით ადამიანი, მძიმე ჯავშანტექნიკა, ავიაცია და სარაკეტო დანადგარები მონაწილეობს. იყო საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული იარაღის (კასეტური ბომბები) გამოყენების ფაქტებიც.

უკიდურესად დაძაბული ვითარებაა სირიაში, სადაც არ ცხრება სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირება; და ერაყში, სადაც ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაცია ზედიზედ „იპყრობს“ თავისივე ქვეყნის ტერიტორიებს...

და მაინც, საქართველოსთვისაც, უკრაინისთვისაც და დანარჩენი მსოფლიოსთვისაც გასულ კვირაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო კრემლში გამართული სამთავრობო თათბირი პრეზიდენტ პუტინის თავმჯდომარეობით.

ამ თათბირზე ნათქვამს მსოფლიოს დიდი ქვეყნების ხელისუფლებები უეჭველად ყურადღებით შეისწავლიან და გააანალიზებენ. არ არის გამორიცხული, ჩვენმა ხელისუფლებამაც მათ მიბაძოს.

ძალიან მოკლედ, იმ თათბირზე ევროკავშირის, უკრაინის, NATO-სა და, საერთოდ, მთელი ცივილიზებული სამყაროს გასაგონად დაახლოებით ასეთი რამ ითქვა: ჩვენ ვიცოდით, რომ ასოციირების ხელშეკრულება უკრაინასა და ევროკავშირს შორის სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის ეკონომიკას; პრაქტიკულად ხელმოწერისთანავე დაიწყებოდა რუსული ბაზრის გადავსება დაუბეგრავი ევროპული და მესამე ქვეყნების პროდუქციით, რაც მტკივნეულ დარტყმას მიაყენებდა რუს მწარმოებლებს; უკრაინა იძულებული გახდებოდა რუსეთთან დაუყოვნებლივ გაეწყვიტა ასოციირების პირობებისთვის მიუღებელი ასეულობით შეთანხმება; აქედან გამომდინარე, ასოციირების ხელშეკრულება გაორმაგებულ საფრთხეს შეუქმნიდა სწორედ რუსეთს — არსებითად გაანადგურებდა რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-სამრეწველო კავშირებს და უკრაინიდან ევროპული და მესამე ქვეყნების სასარგებლოდ რუსული საქონლის გამოძევებას გამოიწვევდა.

ჩვენ ვცადეთ მოლაპარაკება, მაგრამ ჩვენს მიერ შეთავაზებული კომპრომისები და წინადადებები ევროკავშირმა არ მიიღო.

მიუხედავად ხუნტის აღვირახსნილი ფაშისტური ანტირუსული რიტორიკისა, ჩვენ ვასრულებდით ყველა ვალდებულებას, რაც უკრაინული მრეწველობისთვის ჯამურად 15 მილიარდი დოლარის შეკვეთებს გულისხმობდა. ყველა ავანსს სრულად და პატიოსნად ვანაზღაურებდით. ახლა რუსეთი იძულებულია მთლიანად უარი თქვას ამ შეკვეთებზე.

უკრაინას გაზი არა აქვს და არც ექნება. ჩვენ მას მივაწვდით იმდენს, რამდენსაც ყოველთვიურად გადაიხდიან. ამავე დროს, უკრაინას თავისი ტერიტორიიდან ევროპისთვის გაზის გადასაქაჩად ყოველწლიურად 4-5 მილიარდი დოლარი ესაჭიროება. თუ მას ეს მილიარდები არ აღმოაჩნდება, ევროპა გაზის გარეშე დარჩება.

უკრაინის რუსული ვალი 16,6 მილიარდი დოლარია.

აქედან გამომდინარე, ევროკავშირი-აშშ-უკრაინა ან დაუყოვნებლივ მიიღებენ რუსეთის პირობებს, ან რუსეთი გააუქმებს თავის 15 მილიარდი ღირებულების შეკვეთებს უკრაინაში; ჩაკეტავს საზღვრებს უკრაინული და უკრაინიდან მომავალი სატრანზიტო საქონლისთვის; უკრაინას წარუდგენს 16,6 მილიარდიანი ვალის დაფარვის მოთხოვნას...

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ასეთია რუსეთის ულტიმატუმი, ფაქტობრივად, ევროკავშირის, აშშ-სა და NATO-სადმი. და ეს არის ძალიან სახიფათო მთლიანად კაცობრიობისთვის.

ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსის შიში, რომ მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია, უსაფუძვლო სულაც არ არ უნდა იყოს.

დებატებიდან არჩევნებამდე

გასული კვირის საქართველო ადგილობრივი თვითმმართველობის განმეორებითი არჩევნებით სულდგმულობდა.

ისწავლეთ ფეხბურთელებისგან, პოლიტიკოსებო!

განსაკუთრებული ვნებათაღელვის საგანი, რა თქმა უნდა, თბილისის მერობა გახლდათ — მთაწმინდელი „ძველი ბიჭი“ ნიკა მელია, თუ კოკელი პროფესორი დავით ნარმანია, ანუ ნაციონალური მოძრაობა, თუ „ქართული ოცნება“!

შეგახსენებთ, რომ თვითმმართველობის განმეორებით არჩევნებში წარმატება იყო ერთადერთი შანსი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური გარდაცვალების გადასავადებლად. ნება მიბოძეთ, ისიც შეგახსენოთ, რომ ნაცმოძრაობამ მთელი თავისი საარჩევნო კამპანია უგულავას დაპატიმრების ფაქტსა და „ოცნების უუნარობის“ მტკიცებაზე ააგო.

ჩვენთვის არჩევნის გაიოლების მიზნით, მერობის კანდიდატებს შორის გასულ კვირაში საჯარო დებატებიც გაიმართა. ნაცმოძრაობა იმედოვნებდა, რომ მთაწმინდელი „ძველი ბიჭი“ ნიკა ადვილად დაჯაბნიდა „ვიღაც კოკელ“ წიგნის ჭია დავით ნარმანიას.

დებატებმა გამოაჩნა რომ მთაწმინდელ ნიკას თურმე, წარმოდგენაც არა აქვს, რა განსხვავებაა „ძველბიჭობას“ და ქუჩის ბიჭობას შორის; რომ თბილისელი „ძველი ბიჭი“ ძველი ყარაჩოხელების ჩამომავალი, მისი კეთილი ტრადიციების გამგრძელებელი — დინჯი, მამაცი, ღირსეული და სამართლიანია; რომ „ქუჩის ბიჭი“ სახე და სახელშეცვლილი კინტოა — ორპირი, ცრუპენტელა, გულდედალი, სხვისი მოიმედე და პროვოკატორი. დაახლოებით ისეთი, როგორადაც წინასაარჩევნო დებატებისას თბილისის მერობაზე პრეტენზიის მქონე ნიკა მელიამ თავი წარმოაჩინა და ამით ნაცმოძრაობას ბევრზე ბევრი ხმა დააკარგვინა.

დებატებში მონაწილეობით ბატონმა ნიკანორმა, სულ რამდენიმე წუთში გააქარწყლა მითი მისი ტრადიციულ თბილისურ ინტელიგენტურ ოჯახში გაზრდილობის შესახებ. ვინ იცის, მას რომ ოდესმე მართლაც კლასიკური თბილისელი ინტელიგენტის, მისივე უბნელი რეზი თვარაძის ბრწყინვალე ნოველის („უბანი“) წასაკითხად მოეცალა, იქნებ სხვანაირად მოქცეულიყო. მარტო იმ დებატებისას კი არა, საერთოდ, ცხოვრებაში.

პერსონებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის სრულფასოვანი, სერიოზული დებატები ჩვენთვის ახალი ხილია და, ბუნებრივია, უტრადიციობის გამო, ნარმანია- მელიას დებატებსაც რამდენიმე თვალშისაცემი ნაკლი ჰქონდა. მაგალითად, ყველა ჟურნალისტი იყო მოუმზადებელი; თითქმის ყველა ჟურნალისტის კითხვა წინასწარ „უფროსთან“ შეთანხმებულის შტაბეჭდილებას ტოვებდა; წამყვანი მეტისმეტად ინერტულად გამოიყურებოდა, დებატებისთვის გამოყოფილი დრო ძალიან მცირე იყო...

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ გასულ კვირაში გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური ქართული ოცნების სრული გამარჯვებით და ნაციონალური მოძრაობის ასევე სრული კრახით დამთავრდა, რაც კოჰაბიტაციის დასასრულს და პოლიტიკური არენიდან ნაცების გაძევების დასაწყისსაც ნიშნავს.

სიმპტომურია, რომ დამარცხებულმა მელიამ გამარჯვებულისთვის ხელის ჩამორთმევაზე უარი განაცხადა. არც მთაწმინდელი, არც პლეხანოველი, არც ოქროსუბნელი, არც ნახალოვკელი კაი ბიჭები ასე არასოდეს არ იქცეოდნენ და არ იქცევიან.

კანონების კინკლაობა

როგორც გახსოვთ, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საკონსტუტიციო სასამართლოს ამასწინანდელმა გადაწყვეტილებამ უცხოელებისათვის მიწის მიყიდვაზე მორატორიუმის მოხსნის შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა ყველა — პარტიები, „არასამთავრობოებიც“, ხელისუფლებაც, გლეხებიც, ქალაქელებიც, ეკლესიაც. სპეციალური განცხადებით გამოვიდა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც — მიწის საკითხთან დაკავშირებით უწყებათაშორისი კომისია იმუშავებსო.

ეტყობა, ბოლოს თვითონ ვერდიქტის გამომტანიც მიხვდა, რომ ამ ნაჩქარევი ნაბიჯით თავსაც ავნო და შემკვეთსაც. ალბათ, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ გასულ კვირაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებითი ხასიათის ოფიციალური განცხადება გააკეთა:

„საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელისათვის მიწის საკუთრებაში ქონის ამკრძალავი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო ჯერ კიდევ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით („დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა განმეორებით კვლავ დააწესა მსგავსი შინაარსის შეზღუდვა. შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად დასახელდა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და აგრარული სექტორის განვითარება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან და ღირებულ საჯარო ინტერესებს, თუმცა, მათ მისაღწევად გამოყენებული საშუალებები, არც ერთ შემთხვევაში ობიექტურად არ უკავშირდებოდა ზემოთ დასახელებული ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა უცხოელი ფიზიკური პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით არსებული სრული (ბლანკეტური) აკრძალვა, ეს არ გამორიცხავს კანონმდებლის უფლებამოსილებას, რომ შესაბამისი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტების დაცვით, გარკვეული სახის შეზღუდვები დააწესოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გასხვისების (პრივატიზების) პროცესში სახელმწიფო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მის საკუთრებაში არსებული კონკრეტული მიწის ნაკვეთის გასხვისების შესახებ და ამ მიზნით დაადგინოს ისეთი წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან“.

თუ ალღო არ მღალატობს, ამ განცხადებით პატივცემული კონსტიტუციის დამცველები მობოდიშებით გვეუბნებიან, მართალია, აკრძალვა მიწის უცხოელებზე გასხვისების შესახებ გავაუქმეთ, მაგრამ აგერაა, ბატონო, პარლამენტი და თუ იგი ახალ (ქართული მიწის დამცველ) რეგულაციებს შემოიღებს, კრინტს აღარ დავძრავთო.

გასულ კვირაში გრძელდებოდა მსჯელობა იმაზე, ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი უელსის სამიტზე. საბოლოოდ, ეს საპატიო მისია პრემიერმა ღარიბაშვილმა დიდსულოვნად დაუთმო პრეზიდენტ მარგველაშვილს. მეტიც, პრეზიდენტსვე ექნება პატივი, უხელმძღვანელოს საქართველოს დელეგაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც გლობალური ამინდის პრობლემებზე იმსჯელებს!

ამ ფონზე იქნებ სალაპარაკოდაც არ ღირდეს პრეზიდენტ შევარდნაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული გაუგებრობა, როცა ჯერ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა შექმნა დამკრძალავი კომისია, ხოლო ოდნავ მოგვიანებით - პრემიერმა ღარიბაშვილმაც!

იხ. 5 გვ.

პანდორას ყუთი

როგორ იმართებოდა ბიზნესი ნაცმოძრაობის სასარგებლოდ

for.ge-სთან საუბრისას ყოფილი პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი, რომელმაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთობებთან დაკავშირებით კვლევა ჩაატარა, კვლევის დეტალებზე ჯერჯერობით არ საუბრობს, თუმცა ამბობს, რომ კვლევა სკანდალურია, რომელშიც მოყვანილია ფაქტობრივი გარემოებები.

for.ge გია ხუხაშვილს ესაუბრა.

— გიორგი კაპანაძე ერთადერთი ბიზნესმენია, რომლის ჩვენებასაც უნდა დაეყრდნოს საგამოძიებო უწყება?

— ეს იყო სისტემური დანაშაული და არ იყო მხოლოდ კაპანაძე. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ ჯგუფს ჰქონდა ამოცანა, რომ ეკონომიკა მთლიანად ჩაეყენებინა პოლიტიკური სისტემის სამსახურში, რასაც თავის მხრივ, უნდა მოეტანა ორი ძირითადი დივიდენდი. მათი გაგებით, როდესაც, აკონტროლებ ფინანსებს, შესაბამისად აკონტროლებ პოლიტიკას. შესაბამისად, ხელისუფლების შეცვლის პოლიტიკური რისკები, მინიმუმადე მცირდება. საბოლოო ჯამში ჩამოყალიბდა ე.წ. ნომენკლატურული კაპიტალისტური ურთიერთობები, სადაც ყველა ძირითადი სტრატეგიული მსხვილი ბიზნესი მთლიანად პოლიტიკურ ვერტიკალში გახდა ჩასმული.

— როგორ ხდებოდა ძირითადი სტრატეგიული მსხვილი ბიზნესის პოლიტიკურ ვერტიკალში ჩასმა?

— სხვადასხვა სახით ხდებოდა. ერთი, როდესაც ხელისუფლების ესა თუ ის წარმომადგენელი წილში ჯდებოდა და ხელისუფლების სახელით აკონტროლებდა ამა თუ იმ ბიზნესს. მეორე გახლდათ ხარკის აღება, ანუ ყოველდღიურად საერთო პარტიულ სალაროში ფული რომელიღაც უწყების ხელით შედიოდა.ეს ძირითადად ძალოვან უწყებებში ხდებოდა — პროკურატურა და შს სამინისტრო. სხვა უწყებებიც მონაწილეობდნენ ამაში, მაგრამ ძირითადად ეს ორი ცენტრი იყო ამ ყველაფერში ჩართული. გარდა ამისა, ძალადობრივი გზით ართმევდნენ ქონებას.

— რა შემთხვევაში ხდებოდა ეს?

— თუ ითვლებოდა, რომ კონკრეტული ბიზნესმენი უცხო იყო მათთვის, სჯობდა, რომ ის ჩაეჩოჩინებინათ და ეს ბიზნესი გადაეცათ მათთვის უფრო მისაღები ბიზნესმენისთვის. ეს იყო ზოგადი მოქმედების სტრატეგია და გეგმა, რომელსაც ასრულებდნენ სავსებით კონკრეტული ადამიანები. ავიღოთ გიგი უგულავას საქმე - ქალაქის ბიუჯეტი იყო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიმართულება. იმდენად თავხედურად ხდებოდა ეს ყველაფერი, რომ კონკრეტულ ვალებს ბიუჯეტის ხარჯზე ისტუმრებდნენ.

— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ რას ნიშნავს კონკრეტული ვალების გასტუმრება?

— დეტალებს გამოვედევნები გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ გეტყვით ერთ ფაქტს, იცით რიყის საქმე, როდესაც მერიამ 7 მილიონად გაყიდა რიყე და გარკვეული პერიოდის შემდეგ 17 მილიონად უკან გამოისყიდა. რიყის მყიდველს გადახდილ თანხაზე მეტი არ მიუღია, მას მოუწია იმ 10 მილიონის იძულებით გადარიცხვა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მითითებულ ანგარიშზე. მე ვიცი, ვის ანგარიშზე ჩაირიცხა ეს 10 მილიონი. ამ თანხით მოხდა გარკვეული ვალდებულება.

— ვის ანგარიშზე ჩაირიცხა 10 მილიონი და რა ვალდებულება გაისტუმრეს ამ თანხით?

— ეს არის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე და აქედან გამომდინარე, ამაზე მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით. იმედია, ეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივა და სამართალდამცავი სტრუქტურები ამაზე შესაბამის კომენტარს გააკეთებენ. მესმის თქვენი მაღალი ინტერესი, მაგრამ არ მინდა, რაღაცა ისეთი ვთქვა, რამაც შეიძლება ამ საქმის გამოძიებას ხელი შეუშალოს. ავიღოთ იგივე დავით კეზერაშვილი, რომელსაც პირდაპირ გადაეცა გარკვეული ექსკლუზივები საინტერესო ბიზნესებში.

ჩვენ ვიცით, როგორ გახდა ის ძალიან მცირე ხანში ძალიან დიდი ბიზნესმენი. ის იყო „ნაციონალური მოძრაობის“ სალაროს მენეჯერი, საინტერესო ბიზნეს-მიმართულებით მას მიეცა ექსკლუზიური მართვის უფლება, რის შემდეგ ჩვენ ვნახეთ მისი ძალიან სწრაფი ე.წ. გამდიდრება. თუმცა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რაც ამ ბიზნესებიდან იშოვა მხოლოდ მას მიჰქონდა. ერთი სალაროს პრინციპით მუშაობდა ყველაფერი. კეზერაშვილი დღესაც მართავს „ნაციონალური მოძრაობის“ სალაროს. ამის რეციდივი ჩვენ ვიხილეთ ბაქოში განვითარებული მოვლენების სახით. სისტემა მთლიანად ამაზე მუშაობდა, ზოგი ნებაყოფლობით, ზოგი იძულებით.

— რა ინტერესი ჰქონდა ბიზნესმენს, რომ ნებაყოფლობით დაეთმო ბიზნესი ხელისუფლებისთვის?

— ძალიან მარტივი ინტერესი აქვს ბიზნესმენს. ამ შემთხვევაში, ამა თუ იმ მეთოდებით იქნება უზრუნველყოფილი ბიზნესსუბიექტის მონოპოლური უკონკურენტო მდგომარეობა ბაზარზე, რაც საშუალებას აძლევს, რომ თავისი მომსახურება გაყიდოს ნებისმიერ ფასად, მისთვის პრობლემა არაა პოლიტიკური კომპონენტის ჩადება ამ სერვისის ღირებულებაში. ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როდესაც ბიზნესი თვითონ სთავაზობდა ხელისუფლებას ასეთი ტიპის გარიგებას — მონოპოლიის სანაცვლოდ გარკვეული პოლიტიკური „ატკატების“ კეთებას.

ხელისუფლება ამ შემთხვევაში მისი „კრიშა“ იყო და უქმნიდა სასათბურე პირობებს, რომ იქიდან რაღაცა სარგებელი მიეღო. ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრია. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ხდებოდა კონკურენტების ძალადობრივი ჩამოშორების გზით და იმის უზრუნველყოფით, რომ ახალი კონკურენტები არ გამოჩენილიყვნენ. პერიოდულობით ხდებოდა გადანაწილებაც. თუ რომელიმე ბიზნესმენს უჩნდებოდა ზედმეტი ამბიცია, რომელიც მანამდე თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, ასეთ ბიზნესმენებს უკვე ართმევდნენ ქონებას.

ავიღოთ იგივე „რუსთავი-2“-ის ისტორია, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. მას შემდეგ, რაც ეს კომპანია დათო დვალს და ჯარჯი აქიმიძეს წაართვეს, ეროსიმ საოცარი მანიპულაციები ატარა და ეს ტელევიზია გადავიდა მთლიანად ხელისუფლების კონტროლქვეშ. ამ არხმა გამოიცვალა რამდენიმე ე.წ. ნომინალური მყიდველი. დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, რომ ადამიანი დაიჩაგრა, მაგრამ დაიჩაგრა მას შემდეგ, რაც აერია ხელისუფლებასთან ურთიერთობა, თორემ მანამდე ისიც მონაწილეობდა ამ კრიმინალურ გარიგებებში.

„რუსთავი-2“ ტყუილად არ ვახსენე, ქიბარ ხალვაშის მიმართ ჩემი პატივსცემის მიუხედავად, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ბიზნესი, მას შემდეგ, რაც მან დაიწყო ხელისუფლებასთან თანამშრომლობა (გვახსოვს, რომ სამშენებლო ტენდერებში თავდაცვის სფეროში მისი კომპანია იგებდა), „რუსთავი-2“-იც მასზე იყო გაფორმებული. ხალვაში არის დაზარალებული, მაგრამ გარკვეული პერიოდი ისიც გარიგებაში იყო ხელისუფლებასთან. მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა დათო დვალისა და ჯარჯი აქიმიძისთვის ტელევიზიის წართმევის ისტორია.

დღეს, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქონების დაბრუნებაზე, ხშირად ჩვენ გვიწევს საუბარი ქონების დაბრუნებაზე ადამიანებისთვის, რომლებიც დაზარალებულად ითვლებიან დღეს, მაგრამ ესენი ანგელოზები არ იყვნენ, სამწუხაროდ, ხშირად თვითონაც იგივე მეთოდებით თანამშრომლობდნენ წინა ხელისუფლებებთან. როდესაც შეექმნათ პრობლემები, ამის შემდეგ დაიწყეს ხელისუფლებასთან დაპირისპირება. ის ადამიანები, რომლებიც დღეს ხმამაღლა საუბრობენ ამ ყველაფერზე, იყო პერიოდი, როდესაც თვითონ სარგებლობდნენ იგივე ტექნოლოგიებით.

— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?

— კითხვა მიჩნდება იგივე გიორგი კაპანაძესთან მიმართებაში, რომელიც აღიარებს, რომ ის ეძებდა „კრიშას“ და ქრთამის სახით მილიონი დოლარი გადაუხადა თემურ ალასანიას, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ამ ადამიანმა ხელისუფლების ლუსტრირება დაიწყო მას შემდეგ, რაც მას ფული გამოართვეს „კრიშისთვის“ და ამ დროს ეს „კრიშა“ არ იქნა უზრუნველყოფილი. და რომ დაეცვათ მისი ბიზნესი, დღეს საით იქნებოდა, მაინტერესებს. ასეთი ტიპის ამოცანების არ მჯერა.

სამართლიანობის აღდგენა არ ნიშნავს, რომ მოძალადეს წაართვა და გადასცე იმას, რომელიც შეიძლება არც იყოს კეთილსინდისიერი. მოხარული ვიქნები თუ ამას აკეთებენ მოქალაქეობრივი ვალის მოხდის მიზნით, მაგრამ თუ საქმე გვაქვს რაიმე ტიპის გარიგებასთან, ხელისუფლება ვალდებულია, გვითხრას, რის სანაცვლოდ საუბრობს ეს ადამიანი, რას სთავაზობენ ამის სანაცვლოდ.

— გარდა თანამშრომლობის ნებაყოფლობითი, იყო ძალადობრივი ფაქტები. რა ბედი ეწია ხელისუფლებისთვის ძალადობით გადაცემულ ბიზნესებს?

— მსხვილი ბიზნესის სეგმენტებზე, როგორც წესი, აშკარა ძალადობა არ ყოფილა მარტივი მიზეზის გამო, რომ სააკაშვილს რაღაც ეტაპზე ეყო ჭკუა, რომ არ მოეჭრა ის ტოტი რომელზეც იჯდა. უფრო მოლაპარაკების გზით ხდებოდა გარიგებაში შესვლა. მთელი სეგმენტებიდან იხსნებოდა სალაროსთვის თანხები ყოველდღიურად. ბიზნესმენს ხარკი რომ გადაეხადა ხელისუფლებისთვის, ხშირად იძულებული ხდებოდა, რომ სამართალდარღვევაზე წასულიყო და როგორც ვიცი, ასეთი საქმეც არსებობს. ბიზნესიდან ნაღდი ფულის ამოღება არის რთული.

— რა სამართალდარღვევაზე მიდიოდნენ?

— ამ ბიზნესმენებს ხარკი, რომ მიეტანათ ხელისუფლებაში, ისინი იძულებული იყვნენ, რაღაცა სქმებით გაექეშებინათ ფული. დღეს ამ ბიზნესმენებს აქვთ პრობლემები, იმიტომ, რომ თვითონ ეს თემა არაა მთლად კანონის ფარგლებში. ამის თქმის დროც დადგება, თუმცა, ჯობია, რომ სამართალდამცავები საუბრობდნენ ამაზე, ვიდრე მე და თქვენ.

— კვლევა, რაც თქვენ ჩაატარეთ, რამდენად მასშტაბურია?

— არის შემთხვევები, რომელთა გამოქვეყნება არ შეიძლება, რადგან ეს ეხება ეკონომიკურ სივრცეში სერიოზულ დიდ მოთამაშეებს. ისინი იძულებულები იყვნენ, რომ ამ მახინჯი სქემით ემუშავათ. გვარებით და სახელებით რომ ვისაუბრო, ამით მათ შეექმნებათ ისეთი ტიპის პრობლემები, რომელთაც ისინი არ იმსახურებენ. მარტო ამაში არაა პრობლემა, იმდენად მასშტაბური იყო ეს ყველაფერი, მერწმუნეთ, რომ თვითონ ეკონომიკის მთელი სეგმენტების სტაბილურობას შეიძლება საფრთხე შევუქმნათ მე და თქვენ. ეს არის ძალიან ფაქიზი საკითხები და ამას სჭირდება სახელმწიფოებრივად მეთოდური მიდგომა, რომ ეს კრიმინალური სისტემა მთლიანად იქნას ლუსტრირებული.

— ბატონო გია, დაზარალებული ბიზნესმენები, რომელთაც ხვდებოდით, რამდენად ღიად საუბრობდნენ?

— მე შევხვედი კონკრეტულ ფიგურანტებსაც კი, რომლებიც პირად საუბარში ამბობდნენ, ვინ იყვნენ კურიერები, ვის საიდან სად რამდენი მიჰქონდა. ასეთი ადამიანებიც არსებობდნენ, რომლებიც კომუნიკაციას უზრუნველყოფდნენ ხელისუფლებასა და ეკონომიკურ სისტემებს შორის. ასეთი არაფორმალური ურთიერთობები იყო. ყველაფერი მუშაობდა ერთი სალაროს პრინციპზე. ოპერატორი შეიძლება ყოფილიყო ერთი ან მეორე უწყება, მაგრამ საბოლოო ჯამში, იყო ერთი სალარო, ამა თუ იმ სეგმენტში ერთი ადამიანი მართავდა.

მათი რაოდენობა იყო ძალიან შეზღუდული, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ამას შეიძლება ორი ადამიანიც დავამატოთ, ვინც ამაში იყო ჩართული. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ჩვენ ამაზე საჯაროდ საუბარი რომ დავიწყოთ, მაშინ პანდორას ყუთი უნდა გავხსნათ და ამის შედეგების პროგნოზირება ძალიან ცუდი იქნება. იყო მაფიოზური თამაშის წესები და, სამწუხაროდ, ამ წესებით ეკონომიკა თამაშობდა.

— თუ არ გაიხსნა პანდორას ყუთი, მაშინ რა უნდა ჰქნან იმ ბიზნესმენებმა, რომლებსაც ძალადობრივი გზით წაართვეს ბიზნესი?

— ეს არის ინდივიდუალური თემები. პირდაპირ გეტყვით, რომ საქმე საქმეს არ ჰგავს. არიან ბიზნესმენები, რომლებსაც წაართვეს და გააუბედურეს, არიან ისეთიც, რომლებსაც თავისივე წართმეული უკან წაართვეს და, სხვათა შორის, ასეთები ძალიან ბევრია. ამ ქვეყანაში წესიერი ბიზნესმენების რაოდენობა ძალიან მცირე იყო. მათ გარკვეულ ნაწილს ეს ქონება მოპოვებული ჰქონდათ ისეთივე გზით, რა გზითაც მოხდა მათთვის წართმევა. ეს არის ყველაზე სამწუხარო. სადაც კეთილსინდისიერ მფლობელთან გვაქვს საქმე, ეს საქმე უნდა იქნას გამოძიებული და წართმეული ყველას უნდა დაუბრუნდეს.

— ვინ არიან ისეთები, რომლებიც დღეს დავობენ ქონებაზე და რომლებმაც თვითონ წაართვეს თავის დროზე ქონება სხვას?

— ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ჯერჯერობით გვარებს არ დავასახელებ. ერთი გვარი რომ დავასახელო მაშინ უნდა ვილაპარაკო ყველაზე და ყველაფერზე.

თამთა ქარჩავა

◎ ალიანჩალიანი

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზაზე მოძრაობა აღდგა

დარიალის ხეობაში გუშინ დილიდან, გეოლოგიური სამსახურების მიერ პროცესებზე დაკვირვება მიმდინარეობდა. აღნიშნულ მონაკვეთზე გადაადგილება საფრთხეს არ წარმოადგენს და მოძრაობა ჩვეულ რეჟიმში ხორციელდება.

კვირას, დევდორაკის ხეობაში მთელი დღის განმავლობაში უხვი ნალექი ფიქსირდებოდა, რამაც მდინარეებში წყლის დონის მატება გამოიწვია. აღნიშნულიდან გამომდინარე მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 134-ე კილომეტრზე ლარსისა და ყაზბეგის მიმართულებით საპატრულო პოლიციის საგუშაგოები შეიქმნა, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით, ავტომანქანების გატარებას მორიგეობით ახდენდნენ.

სტიქია ლენტეხში

ძლიერმა წვიმამ და მეწყერმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი გარესამყაროს მოწყვიტა.

უამინდობამ განსაკუთრებით დააზარალა სოფლები ფანგანი და ლევშერო.

მოვარდნილმა წყალმა ადგილობრივებს საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები დაუტბორა. წყალმა წაიღო პირუტყვი, განადგურებულია ნათესები. ამჟამად ადგილზე ტექნიკას ელოდებიან, რომ გაწმენდითი სამუშაოები დაიწყოს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელის, ამირან ჭუმბურიძის განცხადებით, რამდენიმე სოფელში საშინელი მდგომარეობაა. ზარალის ოდენობას სპეციალური კომისია დაადგენს.

ინტერპრესი

◎ კვლევა

საქართველო არშემდგარი სახელმწიფოების რეიტინგში „შესანატრ“ ადგილს იკავებს

საქართველოსთან მიმართებაში ავანსად ნათქვამმა „დემოკრატიის შუქურამ“ ვერ იმუშავა. 2003 წლიდან მთელი ეს დრო ნაციონალებმა მდგრადი სახელმწიფოებრიობის მშენებლობას შეალიეს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ერთი ხელის მოსმით ჩამოუშალა, მაგრამ... ეს რომ „მდგრადი“ სიმართლე არ არის, ყველამ კარგად იცის; მათ შორის, იმ „ნეტარმა მორწმუნეებმაც“, რომლებიც დღემდე სააკაშვილის მზეს ფიცულობენ.

ახლა კი იმაზე მოგითხრობთ ვრცლად, რისთვისაც ეს შესავალი დამჭირდა.

გუშინ ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტირების ცენტრმა „დოქტრინა ბიზნეს რევიუმ“ ერთი საინტერესო კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყანა ბოლო რვა წლის განმავლობაში თურმე არშემდგარი სახელმწიფოების რეიტინგში უკიდურესად სახიფათო ზონაში იმყოფება. ეთნოკონფლიქტები, შიდა დაპირისპირებები, ეკონომიკურ-სოციალური ფაქტორები, ადამიანის უფლებები და სხვა განმსაზღვრელი ნიუანსების მიხედვით საქართველო მყიფე სახელმწიფოების რიგში საგანგაშო ადგილს იკავებს. 178 ქვეყანას შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებლები აქვთ სამხრეთ სუდანს, სომალის, პაკისტანს, და მათ გვერდით არის საქართველოც.

ამ კვლევას საფუძვლად უდევს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული ორგანიზაცია The fund for Peace-ის და ამერიკული გამოცემის Foreign Policy-ის პოლიტოლოგ-ექსპერტების მიერ შემუშავებული The Fragile states Index-ის შვიდწლიანი ანალიზის შედეგები.



სახელმწიფოები შეფასდა მთელი რიგი ინდიკატორების მიხედვით. მათ შორის, სახელმწიფო ლეგიტიმურობის დეფიციტი, ელიტური, კლანური ჯგუფების გავლენა, ეკონომიკური განვითარება, რომლის მაჩვენებელიც საქართველოს ძალიან სუსტი აქვს. ადამიანების ემიგრაცია საზღვარგარეთ და ტვინების გადინება, ჯანდაცვა და საჯარო სერვისებით საზოგადოების უზრუნველყოფა, ლტოლვილების მომსახურება, დაავადებების და სტიქიური უბედურებების მართვის მიხედვით საშუალო მაჩვენებელი გვაქვს. სამწუხაროდ, კარგი მაჩვენებლით არც ერთ ასპექტში არ გამოვირჩევით.

საბოლოო ჯამში, თუ რამდენად არამდგრადი სახელმწიფო ვართ, 10-ბალიანი შეფასებით, 9,5 ქულა გვაქვს, რაც აბსოლუტურად საგანგაშოა. როგორც სახიფათო ზონა, რეიტინგით ძალიან ახლოს ვართ ისრაელთან, ხოლო ელიტური კორუფციის მაჩვენებლით, რომელიც განსაკუთრებით 2005 წლიდან იზრდებოდა, მე-11 ადგილზე ვართ. მსგავსი ქულა აქვს ტაილანდს, ნიგერიას, პაკისტანს...

მდგრადობის თვალსაზრისით ჩამოვრჩებით ყველა მეზობელ ქვეყანას, თურქეთს, რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს. სულ ოდნავ გაგვიუმჯობესდა მდგომარეობა 2013 წელს, თუმცა, სახიფათო ზონის იარლიყს თავი მაინც ვერ დავაღწიეთ.

როგორც „დოქტრინას“ წარმომადგენლები აცხადებენ, ეს მონაცემები გუშინ გასაჯაროვდა, ამდენად, იცის თუ არა მთავრობამ ამის შესახებ, ინფორმაცია არა აქვთ. იცოდა თუ არა წინა ხელისუფლებამ, რომ მას წლების განმავლობაში ძალიან ცუდი სტატუსი ჰქონდა, ესეც უცნობია.

ეკონომისტი **ირაკლი ზაძარაია** ამბობს, რომ ასეთი რეიტინგების უგულებელყოფა არ შეიძლება. **„მე არ ვიცი, რას ფიქრობს ხელისუფლება (სავარაუდოდ, ყველამ ყველაფერი იცის), მაგრამ ამ ინდიკატორებს უყურადღებოდ არ ტოვებს ინვესტორი. ის ყველაფერს ყურადღებით ეცნობა. გასულ წლებში კიდევ უარესი მაჩვენებლები გვქონდა. მყიფე სახელმწიფოთა შორის ჯერ 37-ე, შემდეგ 51-ე ადგილზე ვიყავით. ახლა 63-ე გადავინაცვლეთ, რაც დამაიმედებლად გამოიყურება. ვინმე უარყოფს, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნისას ბიზნესის ტერორი მიმდინარეობდა? შეიქმნა ოლიგოპოლია და დღესაც გაფართოებული ბრძოლა მიდის ამის შესანარჩუნებლად. დღეს უკვირთ, თუ ბიზნესი რაიმე ინიციატივას გამოიჩენს, რადგან ადრე ყველაფერს საზღვრავდა ელიტური ხელისუფლების დირექტივა“.**

2013 წელს რომ მხოლოდ უმნიშვნელო გაუმჯობესება აქვს საქართველოს სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, „დოქტრინას“ ხელმძღვანელი **მიხეილ დუნდუა** გარდამავალ პერიოდს და კოჰაბიტაციას უკავშირებს. ასევე მთავრობის „აქილევსის ქუსლად“ მიიჩნევს ნაკლებ პროპაგანდას, რასაც შარშან საერთაშორისო ასპარეზზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. რა არის გამოსავალი? – როგორც ბატონი მიხეილი ამბობს, **„გამოსწორების ორი მნიშვნელოვანი გზა არსებობს: ქვეყანამ უნდა დაისახოს გრძელვადიანი სტრატეგია და მიზანმიმართულად შეუდგეს მის განხორციელებას. და მეორე, მოძებნოს სუსტი წერტილები და მის სწრაფ და ეფექტიან გამოსწორებას შეუდგეს. ეს უკანასკნელი გაცილებით უკეთესი და გამართლებულია“.**

თეა მოსია

◎ კვირა, რომელიც გამოვიარეთ

ისწავლეთ ფეხბურთელებისგან, პოლიტიკოსებო!

(მესამე გვერდიდან)

ვინც ეს წასვლა-მოსვლა მოიგონა...

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიტიკიდან მიდის კახა კუკავა. შეგახსენებთ, რომ კუკავამდე პოლიტიკიდან წავიდნენ უინსტონ ჩერჩილი, რონალდ რეიგანი, მარგარეტ თეტჩერი, ორივე ჯორჯ ბუში, ბილ კლინტონი, ნელსონ მანდელა, გიორგი თარგამაძე, ასმათ ტყაბლაძე, სოსო შატბერაშვილი, მიშა მაჭავარიანის მეგობარი კობა ბექაური... წავიდნენ აგრეთვე ზურაბ ადეიშვილი (ჩეხეთში), მიშა საკაშვილი (კიევში), როლანდ ახალაია (ზუგდიდში)... წავიდა თვით დიდი ვანო მერაბიშვილიც კი (ციხეში)...

ახლა კიდე კახა კუკავა მიდისო. გასკდა რაღა, ე ოხერი გული!

ყველა-ყველა და, ცნობილი ალპინისტ-ოპოზიციონერი გია თორთლაძე რომელ მწვერვალზეა, ვინმემ თუ იცით, ეს ამბავი ფრთხილად შეაპარეთ – ყინულზე ფეხი არ აუცურდეს!

ამ წასვლა-მოსვლაზე გამახსენდა – გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ბერა ივანიშვილის ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანად (პირობითი სახელწოდება „მოქალაქე“) ბიძინა ივანიშვილი მოგვევლინოს.

ვისაც ამ გვარ-სახელის ტელეწამყვანი და ჟურნალისტი არ გაუგონია, შევახსენებ, რომ ეს სწორედ ის ცნობილი ბიზნესმენია, ვინც 2014 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი ნაცმოძრაობა თავის ბელადებიან-მხარდამჭერებიან-მკოცნელებიან-ზონდერებიანად სასტიკად მიჯირყვნა და სულ მალე პოლიტიკიდან მითიურ „სამოქალაქო სექტორში“ გადაინაცვლა. არა მგონია, ჟურნალისტობაზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ივანიშვილმა თავის მილიარდებს უღალატოს, მაგრამ მისი თავმდაბლობა (ტელეწამყვანობის შეთავსება) და ყაირათიანობა (რატომ უნდა დავხარჯო ფული წამყვანზე, როცა აგერ ვარ მე!) დიდად დასაფასებელია.

ისე, GDS-ის მფლობელი ბერა ივანიშვილი კონსულტანტად რომ მიმიწვევდეს, ურიგო არ იქნებოდა. მაგალითად, ვეტყოდი, რომ გასულ კვირას მისი ტელევიზიის ერთ-ერთი არხით გავრცელებული მუსიკალური ნომერი გოგონების უკანალებზე ტყაპუნის აკომპანიმენტით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს რამდენიმე მიზეზის გამო: მუსიკალური მოტივი („რაჭული“) შერჩეული იყო აშკარად არასწორად; „ბარაბანშიკის“ პროფესიული დონე იყო აშკარად ძალიან დაბალი; ორიდან ერთი „ბარაბანი“ (უკანალი,) რომელიც შეიძლება უნაკლოდ ასრულებდეს თავის ტრადიციულ დანიშნულებას, აშკარად გამოუსადეგარი იყო მუსიკალური ინსტრუმენტის როლში; ერთ-ერთი გოგონას ჩაცმულობა (თავზე წაფარებული კაბა) ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ გადაცემა მიმდინარეობდა პროვინციული ბორდელიდან და არა ესოდენ პრესტიჟული ტელევიზიის სტუდიიდან; ნომერი არ იყო ორიგინალური...

ბუნებრივია, მომზადებული გადაცემების სერიოზულობის კვალდაკვალ, ჩემი შენიშვნების სერიოზულობაც გაიზრდება.

გასულ კვირაში თბილისში, მშვიდობის ხიდზე (ყოფილი „ვირის ხიდის“ ადგილას რომ ააშენეს და თბილისელები მოფერებით „სანდრას პამპერსს“ რომ ეძახიან) გაიმართა არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად ციხეში წასული გიგი უგულავას გულის გასამაგრებელი აქცია გულისმომკვლელი სათაურით „გულს ნუ გაიტეხ, ჩვენო გულადო, ანუ წერილები გიგის“.

წარმოიდგენეთ, რა გულითად და გულის შემძვრელ სიტყვებს უძღვნიდნენ ყოფილ მერს ნიკა მემანიშვილი, ნინა წკრიალაშვილი და დანარჩენები.

ძალიან გთხოვთ, იმის გამო, რასაც ახლა ვიტყვი, ნაცების მხარდამჭერად ნუ გამომაცხადებთ – ძვირფასო აქციის ორგანიზატორებო, სანამ გიგის შეუტანდეთ, წერილები ყურადღებით წაიკითხეთ და გადაარჩიეთ – ცოდოა ბიჭი, ისედაც თავისიანებმა საციხედ გაიმეტეს.

ვწუხვარ, მაგრამ გიგი უგულავას მხარდამჭერებმა ამ ნაძალადევი, პროვინციული თეატრალიზებული „აქციებით“ ადამიანის ტრაგედია შეგნებულად გადააქციეს ფარსად და ანეკდოტების წყაროდ. ცოტა უცნაურია, რომ „აქციების“ მთავარ ინიციატორად ქალბატონი ლელა კილაძე გვევლინება – იგი მეტისმეტად შეუფერებელია დეკაბრისტის ცოლის როლისთვის.

და, საერთოდ, ნაცმოძრაობას საარჩევნო კამპანია გიგის დაპატიმრებაზე კი არა, მიშას გაქცევაზე რომ აეგო, ნამდვილად აჯობებდა.

დიდი წვრილმანი

გასულ კვირას საქართველომ და დანარჩენმა ცივილიზებულმა სამყარომ უკანასკნელ გზაზე გააცილა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთ-ერთი შემოქმედი ედუარდ შევარდნაძე. ის აჟიოტაჟი, რაც მის გარდაცვალებას მოჰყვა მსოფლიოში, მიუთითებს, რომ ხმები „თეთრი მელას“ დიდ პოლიტიკოსობაზე გადაჭარბებული სულაც არ ყოფილა. ვინ იცის, შევარდნაძის ცხოვრებამ, მოღვაწეობამ და გარდაცვალებამ იქნებ ჩვენ, მის თანამემამულეებს ოდესმე ავისა და კარგის გარჩევაც გვასწავლოს.

ედუარდ შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციის ეზოში, მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

გასულ კვირაში გავრცელდა ხმები ე.წ. ერგნეთის ბაზრობის აღდგენის შესახებ. ეს ის ბაზრობაა, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ოს-ქართველთა დაახლოებაში და სააკაშვილის მითითებით და ირაკლი ოქრუაშვილის ხელით განადგურდა, რაც ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ახალი დაძაბულობის ესკალაციის მიზეზი გახდა.

დროა, ქართველმა პოლიტიკოსებმა, გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც, მეტოქის პატივისცემა – გამარჯვებულისაც და დამარცხებულისაც, ისწავლონ ფეხბურთელებისგან, საერთოდ, სპორტსმენებისგან. მაშინ პოლიტიკიდან გაძევების საფრთხე აღარავის დაემუქრება.

მიხეილ დარახველიძე

გავბედნიერდით?!

რუსული გამოთქმისა არ იყოს – „ჩხუბის შემდეგ, მუშტებს არ იქნევენო“, – ისეა ჩვენი საქმე, თუმცა, ჩხუბამდეც ვიქნევდით, ცხადია, არა მუშტებს – სიტყვებს, მაგრამ, უშედეგოდ. და ეს იმიტომ, რომ ცოტა აჰყვა სიტყვის „ქნევას“.

საქართველოს ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ევროკავშირის ასოციირებული წევრობის ხელშეკრულებას, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყნისთვის რაღაც უცხოს, რაღაც წარმოუდგენელს და, რაც მთავარია, ამ ეტაპისთვის გამოუცნობს.

დაიწყება ახალი ცხოვრება და გამოჩნდება, რამდენად გონივრული იყო საქართველოს ხელისუფალთა გადაწყვეტილება. არჩევანი კარგია თუ ცუდი, წლები დაგვანახვებს, მაგრამ მაშინ არც ისინი იქნებიან ხელისუფლებაში, ვინც ეს ნაბიჯი გარისკა და არც არავინ იქნება პასუხისმგებელი დაშვებულ შეცდომაზე. თუმცა, ვინ იცის, ის რაც დღეს ზოგს შეცდომად მიაჩნია, ხვალ იქნებ სულაც არ იყოს შეცდომა?!

ერთი სიტყვით, სარისკო ვარაუდებში ვართ, უფრო სწორად, ვიყავით 2014 წლის 27 ივნისამდე. მას შემდეგ, უკვე ფაქტთან შეგუება მოგვიწევს, ხოლო ცუდი-კარგი, ანუ თეთრი-შავი აბანოში გამოჩნდება. აბანო კი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება იქნება – ცხოვრებისეულ მძიმე და დაუნდობელ კანონებზე დაფუძნებული.

ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას – ჯერ ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, შემდეგ ევროკავშირთან მოკრძალებული ეკონომიკური ურთიერთობის სახით. ორივე, ამერიკა-ევროპის ინიციატივით დაიწყო და დროთა ვითარებაში აქტიური თანამშრომლობის ხასიათი შეიძინა. ყოველივე აღნიშნულმა კი სერიოზული გავლენა იქონია საზოგადოებაზე, მის აზროვნებაზე და ხვალინდელი დღის ხედვაზე.

გამოკვეთილი დასავლური ორიენტაცია თვალშისაცემად სააკაშვილის მმართველობის პირველივე დღიდან განისაზღვრა, რასაც ლაიტმოტივივით თან ახლდა ანტირუსული რიტორიკა, ისტერიაში გადასული განცხადებები საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან.

საქართველოს ხელისუფალთა ანტირუსულ დამოკიდებულებას ცეცხლზე ნავთი დასავლეთმა დაასხა – საკუთარი, ასევე ანტირუსული, გეგმების განხორციელების მიზნით, რომელშიც რუსეთის იზოლაციას, მის არალოიალური სახელმწიფოებით შემორკალვასა და, საბოლოო ჯამში რუსეთის დაშლა-დაჩოქებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა და უკავია.

დასავლური პოლიტიკის, ყოფა-ცხოვრების გაფეტიშებას ხელს უწყობდა მთავრობის მიერ კონტროლირებული მედია და დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო სექტორი. ათწლიანმა შეტევამ მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე დასავლეთისთვის პოზიტიური შედეგი მოიტანა. გაიხლიჩა საზოგადოება არა მარტო დემოგრაფიული, არამედ აზრობრივი თვალსაზრისით. მამები და შვილები ერთმანეთს მამასისხლად გადაემტერნენ. ახალგაზრდა თაობისთვის მისაბაძი და სასურველი დასავლური ფასეულობები, საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანებისთვის მიუღებელი გამოდგა.

ასე გაორებულებმა, ნაცური ხელისუფლების მიერ გაუპატიურებულებმა, ვიცხოვრეთ 2012 წლის ოქტომბრამდე და გულმოსულებმა ქუჩას მივმართეთ ბილწი აწმყოს შეცვლისთვის. შევცვალეთ, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოჩნდა, მხოლოდ ნაწილობრივ, ანუ მოვიშორეთ სააკაშვილი, მაგრამ ვერ მოვიშორეთ ნაცები და მათ მიერ შექმნილი პოლიტიკური აზროვნება, რაც მთავარია ორიენტაცია.

„ოცნებისთვის“ ევროატლანტიკური გეზი ისეთივე მყარი აღმოჩნდა, როგორც წინამორბედისთვის იყო. დასავლელთა მიერ ზურგგამაგრებული მთავრობა ყველაფერს იღონებს დასავლური პროექტის განსახორციელებლად. მას გამოცდილი ჰქონდა ნაცური ხელისუფლების სიჯიუტე. ეს თვისება წინამორბედთაგან გადმოჰყვათ დღევანდელებს, და ისეთი პროდასავლური კოცონი აგიზგიზდა, ლამის ხანძარში გადაიზარდა. ხელისუფლების პოზიციების გასამაგრებლად გაჩნდა პროდასავლური კურსის მხარდამჭერთა 85%-იანი ციფრი. და არავინ იცის – საიდან?

ორიენტაციის განსასაზღვრი არც რეფერენდუმი და არც პლებისციტი ხომ არ ჩატარებულა?

რა მოელის საქართველოს? ყველაფერი იმის დავიწყება, რაც იყო. გათავისუფლება ბევრი მიუღებელი (ევროპისთვის) ცხოვრების წესისგან, ჩვეულებებისგან, კანონმდებლობის შეცვლა და ისეთად გადაკეთება, ისინი რომ მოითხოვენ.

თითქოს ცუდი ამაში არაფერია. შენც ისეთივე ევროპელი იქნები, როგორც ისინი. აკი ბრძანა ჟვანიამ – მე, ქართველი ვარ, ანუ ევროპელიო. მაგრამ გაევროპელობის პროცესი იქნება მტკივნეული – დირექტივებითა და ბრძანებებით გაჯერებული და შედეგი - გლობალიზებული ქართველი, ხოლო საქართველო – სუვერენიტეტგამოცლილი.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სერიოზული თავსატკივარია ბიუროკრატიული ბრიუსელის მოჭარბებული პოლიტიკური ვნებების დაცხრობა, თუმცა ჯერჯერობით – უშედეგოდ. როდესაც ინგლისი იტყვის, სუვერენიტეტი დავკარგეთო, სერიოზულადაა საქმე. როდესაც სხვა ქვეყნები მოურიდებლად აცხადებენ, ჩვენს მიერ არარჩეული ევროკავშირის კომისარი რატომ ერევა ჩვენს საშინაო საქმეებშიო, საქმე სერიოზულია.

ევროკავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას დღის წესრიგში, რაც მნიშვნელოვნად გაღვივდება ახალი ევროპარლამენტის მუშაობის პერიოდში. ასე რომ, ევროკავშირს თავისი პრობლემები ექნება და ნაკლებად ეცლება უამრავი ასოციირებული წევრისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის.

არ ეცლება ფინანსური დახმარების თვალსაზრისით, მაგრამ მენტალურის – იცოცხლეთ, ისეთ დავალებებს მოგვცემს კანონმდებლობის გადასაკეთებლად, თქვენი მოწონებული. დღემდე არსებული რევერანსული დამოკიდებულება, ბრძანების ტონით შეიცვლება, ხომ ეს გინდოდათო? – იტყვიან ისინი. და თუ ევროპელობა გინდათ, უნდა გადაკეთდეთო.

რას ნიშნავს გადაკეთება? უპირველესად, შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც, ჩემი აზრით, ურიგო რამ არ არის. მაგრამ შეძლებს ქართველი ევროპელივით შრომას? მეეჭვება.

ის,რომ ქართველს შრომისადმი ზერელე მიდგომა აქვს, ფაქტია. ვერც კაპიტალიზმმა და ვერც კერძო საკუთრებამ ვერ შეგვასწავლა შრომის ანბანი. ცნობილი სუპერმარკეტებიდან დაწყებული, თითო-ოროლა საწარმოთი და საჯარო სექტორით დამთავრებული - ნაყოფიერი, რაციონალური შრომა არ ჩანს. რაც ჩანს, არის თანამშრომელთა გუნდ-გუნდად ჭორაობა, ფუქსავატური სატელეფონო საუბარი, საქმის არცოდნა და ნაკლები სურვილი მუშაობისა. ერთადერთი, რაც მათ ხიბლავთ – ხელფასებია. საჯარო სექტორში განუზომლად დიდი – შრომასთან შედარებით. კერძო სექტორში – შედარებით ნაკლები, თუმცა, გაცილებით მეტი, ვიდრე შრომის ნაყოფიერებაა.

საქართველოს ძალიან ცოტა ჰყავს პროფესიონალი მოხელე, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, კვალიფიციური დამლაგებელიც კი. სააკაშვილის მიერ განათლების სისტემის მოშლამ სავალალო დღეში ჩააგდო ქვეყანა. ახალი კადრების გაზრდას ათეული წლები ესაჭიროება. და თუ ასეთი ვერ მოიძია, ვირტუალური ევროპელი ინვესტორი (რეალურის იმედი არ მაქვს), სხვა ქვეყნის მუშახელს გამოიყენებს, ნაწილობრივ ასე უკვე ხდება.

ქართველობა, დღევანდელივით, თამაშგარე მდგომარეობაში იქნება. თუმცა, არის გამოსავალიც - ევროპასთან უვიზო მიმოსვლა. ქართულ სინამდვილეში ის სულაც არ იქნება „მიმოსვლა“, ის უფრო მისვლა იქნება, ანუ ევროკავშირში ხელგამოწვდილი სიარული – სამუშაოსა და ლუკმაპურის საშოვნელად.

რომ იტყვიან, წმინდა ადგილი ცარიელი ვერ იქნება და ქვეყნიდან წასული ქართველების ადგილს უცხოელები დაიკავებენ. საბოლოო ჯამში მიგრაციული პროცესი მომაკვდინებლად იმოქმედებს საქართველოს დემოგრაფიაზე. ქვეყანას, ამ თვალსაზრისით, უსერიოზულესი პრობლემები, მე ვიტყოდი ყოფნა-არყოფნის, შეექმნება. იფიქრა ამაზე ვინმემ?

ევროპული საზოგადოება რა ხანია სხვა გზით მიდის, რაც ძალიან შორსაა იმ ცნობილი, მაგრამ ჩამორჩენილი ცნებისგან, რასაც ევროპული ფასეულობები ჰქვია. ან რა ფასეულობებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უდიდესი ნაწილისთვის პირველი პრობლემა შიმშილისგან თავის დაღწევაა. დღეს, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოსახლეობისთვის ჩვეულებრივი რამ არის, უფასო სასადილოებში კვება. საქართველოს მოსახლეობა იძულებული იქნება შეეგუოს მსგავს „კომფორტს“ უახლოეს მომავალში და გადალახოს ის უხერხულობის ბარიერი, რომელიც ტრადიციულად არის ამაყ ქართველში.

დიახ! ევროკავშირი ხელს გამოგვიწვდის დასახმარებლად, მაგრამ ეს დახმარება იქნება კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საქმეში და არა ნაღდი ფულის მოცემაში, რაზეც ბრიყვი ქართველთა დიდი ნაწილი ოცნებობს.

ევროკავშირი საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის. ის, გადაკეთების შანსს გაძლევს, თუ ვერ გადაკეთდი, თავს დაგაბრალე. ევროკავშირი, თუნდაც თავისი წევრებისთვის, რომ ფინანსური თვალსაზრისით, დამხმარე ყოფილიყო, ბულგარეთსა და რუმინეთს დაეხმარებოდა – უკვე ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრებსა და გაღატაკებულებს.

ამ ორი ქვეყნის მაგალითი და არა მარტო ამ ორის, ნათლად მეტყველებს ბრიუსელის ეგოიზმზე, გულცივობაზე. არადა 10 წელი, ცოტა არ არის. 10 წლის განმავლობაში განადგურდა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკა – სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვინაიდან ევროკავშირს სულაც არ სჭირდებოდა ბულგარულ-რუმინული ნაწარმი. დღეს, ეს ქვეყნები, დააკვირდით – ევროკავშირის წევრები და არა ასოცირებული წევრები, უღარიბესად მოიხსენიება ამ კავშირში და ასეთად დარჩებიან უახლოეს პერსპექტივაში.

პირად საუბრებში ორივე ქვეყნის მოქალაქეები დაუფარავად აცხადებენ, რომ შეცდნენ და თავიდან რომ ჰქონდეთ გადასაწყვეტი ეს საკითხი, ევროკავშირს მტკიცე უარს მიახლიდნენ. არადა, ორივე ქვეყანა, ყველა პარამეტრით, ასი თავით მაღლა იდგა საქართველოზე და, რაც მთავარია, ტერიტორიულად ისინი მხოლოდ ევროპაში არიან, რითაც კარდინალურად განსხვავდებიან ჩვენგან და არა მარტო ტერიტორიულად, არამედ მენტალურად.

თურქების მამად წოდებული ქემალ ათათურქი, რომელსაც არაერთი წლის განმავლობაში მოუხდა ბულგარეთში ცხოვრება, იქაურ ევროპელობას ნატრობდა თურქეთისთვის, და, მიუხედავად ამისა, ბულგარეთი სავალალო მდგომარეობაშია, ბულგარელები კი – ემიგრაციაში. ბულგარეთი თითქმის 3-ჯერ მეტია საქართველოს მოსახლეობაზე.

ევროკავშირის პოლიტიკა რომ ეგოისტურია და არავითარი წვლილი არ აქვს ახლადმიღებული ან ასოციირებული წევრების სამართლიან წვრთნა-გადაკეთებაში, ფაქტია. ის, რაც მას ამოძრავებს, ახალი ბაზრების ათვისება და საზოგადოების ანტირუსულად დარაზმვაა. ძნელია, გავიხსენოთ ევროკავშირის დახმარება, რომელმაც შვება მოგვიტანა.

მავანთა აზრით, ბრიუსელიდან წამოსული თანხები, ადგილობრივ ხელისუფალთა მოხერხებულობით, ისევ ბრიუსელელ ბობოლათა მისამართით მიედინებოდა. საქმე მარტივი და აპრობირებულია, ამიტომაც ქურდი, კრიმინალური ნაცური ხელისუფლება უდიდეს მხარდაჭერას პოულობს როგორც ვაშინგტონში, ისე ბრიუსელში.

ბრიუსელელი მაღალჩინოსნები ერთობ ცინიკურად აცხადებენ – პატარა საქართველოს 500-მილიონიან ევროპულ ბაზარზე შესვლის შანსი უჩნდებაო. კეთილი, მაგრამ აქვს თუ არა საქართველოს თუნდაც ერთი დასახელების პროდუქტი, რომელიც ევროპაში გაიყიდება?

მიუკიბ-მოუკიბვად შეიძლება ითქვას – არ აქვს! არც კარგა ხანს არ ექნება, ვინაიდან პროდუქციის შემქმნელი პერსონალი მას არ ჰყავს. ფანტასტიკის ტოლფასია ფიქრი, ევროპის გაჯერებულ ბაზარზე ქართული ღვინის ან მინერალური წყლის გაყიდვასთან დაკავშირებით. მიუჩვეველი ევროპული გემოვნებისთვის ქართულ პროდუქტთან შეგუება მრავალ ათეულ წელიწადსა და ძვირ რეკლამას საჭიროებს და თუ ეს ოდესმე ახდა – აღარც ევროკავშირი იქნება და აღარც საქართველო.

მაგრამ ჯანდაბას ექსპორტი, როდესაც შინ შეგექმნება პრობლემები საკუთარი პროდუქციის გასაღებაში. ქვეყანაში შემოსულ საქონელს, ადგილობრივი ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევს, რაც არა მარტო მოსახლეობის ისედაც გაუარესებულ სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს, ჩაკლავს ჯერაც არდაწყებულ სამომავლო მრეწველობას. პირველი ყვავილები, მსგავსად გაზაფხულისა, სულ მალე გამოჩნდება ბაზარზე, თუმცა, მათი სურნელი მომაკვდინებლად არასასიამოვნო იქნება.

ბევრის თქმა შეიძლება სამომავლო ვითარებაზე, თუმცა, ესეც საკმარისია. უნებლიედ იბადება კითხვა, მაშ რა გვექნა, საით წავსულიყავით? უპირველესად არსაით, საკუთარ თავში უნდა გამოგვეძებნა ძალა და საკუთარი საქმე თვით გვეკეთებინა. „არავინ მოგვცემდა ამის შესაძლებლობასო“, – ამბობენ სკეპტიკოსები. ფინეთს როგორ მისცეს? ან სხვებს? მაგრამ მუქთასა და იორღაზე დაჩვეული ხელისუფლებისთვის ეკონომიკური ქოლგის ქვეშ თავის შეყოფა პრიორიტეტული იყო, ვიდრე ხელდაკაპიწებული შრომა.

და კიდევ ერთი რამ – საქართველოს საუკუნოვანი კავშირი ევროპასთან! როდის, რომელ საუკუნეში იყო საქართველო ევროპასთან ჩახუტებული? არც არასდროს და ეს , ისტორიკოსთაგან ვინმემ უნდა შეაგნებინოს ხელისუფლებას. მეორე, რაც საქართველოს მთავრობამ უნდა გააცნობიეროს – ფსევდო-პატრიოტული, ფსევდო-ძმურ-მეგობრული რიტორიკის ალაგმვაა. ღარიბაშვილმა ბრიუსელში ახსენა „ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები“. რა აზრი აქვს ასეთ განცხადებას, როდესაც ისინი, როგორც ჭირსა და მტერს ისე მიგიჩნევენ?

რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს ხელისუფლებას?

უპირველესად, უნდა გაეუმჯობესებინა რუსეთთან ურთიერთობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, აღედგინა დიპლომატიური კავშირები და დაეწყო ფიქრი ახალ კავშირში – ევრაზიულში შესვლაზე, სადაც საქართველოს საქონელიც გასაღდებოდა და მოსახლეობაც სულს მოითქვამდა.

ქართველ ხალხს არ გადაუწყვეტია ასოციირებული წევრობა. სინამდვილეში მან არც კი იცის, რა ხილია ის – იჭმევა თუ ისმევა. მან ის იცის, რაც ხელისუფლებამ ჩასძახა, თუმცა, ვერაფრით გაურკვევია, რა არის ეს, მაგრამ როცა გაარკვევს – ვაითუ, ძალიან გვიან იყოს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)

პროექტის №: P144048

დავალების სახელწოდება: გონიოს ხიდის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის მომზადება

კონტრაქტი/RFP № SLRPIII/CS/QBS-01
საიდენტიფიკაციო №: SLRPIII PP, პუნქტი №29

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"გონიოს ხიდის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის მომზადება".** ეს არის რთული დავალება, რომლის შესასრულებლად შესაძლოა საჭირო გახდეს ნაპირდაცვის, ფრინველთა დაცვის, ნარჩენების მართვისა და რადიოაქტიული ელემენტებისაგან გაწმენდის ექსპერტების ჩართულობა. შესაძლოა, საჭირო იყოს სხვა დარგის სპეციალისტებიც.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო კვალიფიკაციისა და შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. მოკლე სიაში გასასვლელად საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- ანალოგიური გამოცდილება ბოლო 7 წლის მანძილზე (ანუ 2007 წლის იანვრიდან).
- ზოგადი გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – 'მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]' (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპებში" მოცემული ხარისხზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპებში" მოცემული ხარისხზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2014 წლის 28 ივლისის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)

Project No. P144048

Assignment Title: Preparation of Environmental Impact Assessment and Environmental Management Plan for Gonio Bridge

Contract/RFP No: SLRPIII/CS/QBS-01
Reference No. SLRPIII PP, Item No.29'

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting firms (Consultants) to express their interest in providing the following services: **"Preparation of Environmental Impact Assessment and Environmental Management Plan for Gonio Bridge".** This is a complex task that may require the involvement of experts in in coastal protection, birds protection, waste management, and clearance of radioactive elements. Experts in other areas may also be required.

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

Similar experience within the last 7 years (i.e. since January 2007).
General experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Quality- Based Selection method set out in the Consultant's Guidelines.

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **July 28, 2014, 17:00 hours**.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

დაზუსტება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 09 ივლისს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ მოთხოვნაში ინტერესის გამოსახატავად: **„დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 10 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში (SLRP III)", № SLRPIII/CS/QCBS-01,** შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება:

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2014 წლის 22 ივლისის 17:00 საათისა.**

Clarification

Amendment has been made to Request for Expression of Interest for **"Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Rehabilitation of 10 road sections under the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)", No. SLRPIII/CS/QCBS-01** published in the local newspaper "Republic of Georgia" by the Roads Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia on July 09, 2014, as follows:

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **July 22, 2014, 17:00 hours**.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

იან ბუეზინსკი:
ნატო გაფართოების საკითხით დაიღალა

ამერიკის ხმა: რას შეიძლება ველოდოთ ნატოს სექტემბრის სამიტზე?

იან ბუეზინსკი: ვფიქრობ, ნატოს სამიტის დღის წესრიგი ჯერ კიდევ ზუსტდება. ამჟამად უპირველესი ამოცანაა ალიანსის წევრების კოლექტიური თავდაცვისუნარიანობის გამყარება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის, უკრაინის, საქართველოსა და ლიბიის დახმარება. მესამე თემა, სავარაუდოდ, პარტნიორობის გაღრმავება იქნება ალიანსის იმ არაწევრ ქვეყნებთან, რომელთაც განვითარებული სამხედრო საშუალებები აქვთ.

და ბოლოს: იმედი მაქვს, სამიტზე დავინახავთ ტრანსატლანტიკური შეთანხმების ხელახალ დადასტურებას: შეერთებული შტატები კვლავ ევროპის რეგიონული უსაფრთხოების გარანტი იქნება, სანაცვლოდ კი, ევროპა ამერიკას რეგიონში გლობალურ საფრთხეებთან გამკლავებაში დაეხმარება. სამწუხაროდ, არ მგონია, ნატოს გაფართოებისაკენ რაიმე ნაბიჯები გადაიდგას. ეს, ჩემი აზრით, ნამდვილი უკანდახევაა, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ჩვენ რუსეთის თავდაჯერებულობის ზრდას ვადევნებთ თვალს.

— თქვენი აზრით, ალიანსი რატომ იკავებს თავს გაფართოებისგან, ან ზოგიერთი ასპირანტი ქვეყნისთვის მაპის მინიჭებისგან?

— მიმაჩნია, რომ ალიანსი ნატოს გაფართოების საკითხით ერთგვარად დაიღალა, რასაც შეცდომად ვთვლი. დიდი ქვეყნები, მათ შორის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ალბათ კიდევ რამდენიმე მოკავშირე თვლის, რომ ნატოს გაფართოება, რუსეთთან ურთიერთობის გათვალისწინებით, ერთგვარი კომპრომისის საგანი უნდა იყოს. ეს კი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ხელს უშლის. შედეგად მივიღეთ ის, რომ დაახლოებით ხუთი წლის წინათ ალბანეთის გაწევრების შემდეგ, ნატოს გაფართოება შეწყდა. ეს კი არასწორი გზავნილია როგორც იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ნატოში გაწევრებას ცდილობენ, ასევე პუტინისა და რუსეთისთვის. ეს განამტკიცებს პუტინის რწმენას, რომ მათ შეუძლიათ პროცესის შეჩერება, შეუძლიათ ერთიანი, განუყოფელი და თავისუფალი ევროპის იდეის დასრულება.

— რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ იმისთვის, რათა დაასაბუთოს, რომ ალიანსში გასაწევრიანებლად მზადაა და შესაბამისად, ნატოც მზად არის, რომ ქვეყანას წევრობა შესთავაზოს, რისი პირობაც მან 2008 წელს ბუქარესტის სამიტისას დადო?

— იმედი მქონდა, რომ უელსის სამიტზე ალიანსი საქართველოს სამოქმედო გეგმას მისცემდა, რაც გაწევრების გარანტია ჯერ კიდევ არ გახლავთ. ეს მხოლოდ დაპირებაა, რომ ნატო საქართველოს წევრობისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დაეხმარება და საბოლოოდ, ქვეყანა ალიანსისაგან მიწვევას მიიღებს.

პრობლემას, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, ორი მხარე აქვს. პირველი: ნატოში გაწევრებას წინ ეღობება ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებული პოლიტიკური დაღლილობა. ამას ემატება რუსეთთან დაპირისპირების თავიდან აცილების სურვილი. რუსეთი აცხადებს, რომ ის ეწინააღმდეგება ნატოს შემდგომ გაფართოებას, მათ შორის, საქართველოს გაწევრებას.

და კიდევ ერთი: სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქვეყნის კანდიდატობას საფრთხე შეექმნა. საუბარია „ოპონენტების“ სასამართლო დევნაზე, კანონის უზენაესობის დასუსტებაზე და პოლიტიკური შურისძიების ფაქტებზე. ეს საქმეს უადვილებს მათ, ვინც ნატოს შემდგომი გაფართოების წინააღმდეგია და საქართველოს გაწევრებას ბლოკავს.

— როგორ გგონიათ, განვითრების რა ეტაპზეა ამჟამად საქართველოს დემოკრატია?

— ვფიქრობ, ბოლო არჩევნების შემდეგ ერთგვარი უკანდახევა შეინიშნება. რა თქმა უნდა, დემოკრატია არც მანამდე იყო სრულყოფილი, თუმცა თვალსაჩინო იყო განვითარება რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის კანონის უზენაესობის განმტკიცების, პოლიტიკური ანგარიშვალდებულების ზრდისა და ოპოზიციურ პარტიებთან უფრო ჯანსაღი დამოკიდებულების მიმართულებით. ბოლო არჩევნების შემდეგ საქართველოს იმიჯი მნიშვნელოვნად შეცვალა „კუდიანებზე“ პოლიტიკურმა ნადირობამ, ოპოზიციის წინააღმდეგ სასამართლოს შურისძიების მიზნით გამოყენებამ, არ იყო საკმარისი საერთაშორისო გამჭვირვალობა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ამ ყველაფერმა საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერას შეაფერხა.

თუმცა, ალიანსს სრულად ესმის და აცნობიერებს იმ წვლილს, რომელიც საქართველოს ჯარმა ნატოს თუ სხვა სამხედრო ოპერაციებში შეიტანა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აჩვენებს, რომ საქართველო დე ფაქტო მოკავშირესავით იქცევა. მაგრამ როცა ამას საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ემატება, დადებითი ასპექტი მნიშვნელოვნად სუსტდება.

— საქართველომ ახლახან ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას. ველოდოთ თუ არა დამატებით დაძაბულობას საქართველოსა და რუსეთს შორის?

— დიახ, ველოდები და ძალიან მაწუხებს ეს საკითხი. ვფიქრობ, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და შესაძლოა, ყაზახეთის ზოგიერთი ნაწილიც კი, რუსეთის მზარდი ზეწოლის ობიექტი გახდება. რუსეთი არის ქვეყანა, რომლის ფუნდამენტიც პუტინის სამყაროს ხედვაზეა აგებული. პუტინს კი სურს, რომ მოსკოვის გავლენის სფერო გაზარდოს, სულ მცირე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაავრცელოს და შესაძლოა — უფრო შორსაც კი.

— პრეზიდენტმა პუტინმა კიდეც ერთხელ გამოაცხადა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში ვითარების დეესკალაციას ხელს შეუწყობს. რა რეაგირება უნდა გააკეთოს ამაზე დასავლეთმა — წახალისების მიზნით რუსეთს სანქციები შეუმსუბუქოს, თუ პირიქით, ზეწოლის გაზრდის მიზნით ისინი გაამკაროს?

— უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე პუტინმა არაერთხელ დადო პირობა, რომ უკრაინაზე ზეწოლას შეამსუბუქებდა, თუმცა, პირობის შესასრულებლად არაფერი გაუკეთებია. პირიქით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ზეწოლას ზრდის და ლუგანსკსა და დონეცკში სეპარატისტებს იარაღს აწვდის. უნდა დავაკვირდეთ, თუ რას აკეთებს პუტინი და არა იმას, თუ რას ამბობს. რასაც ის ამბობს, ხშირად არ არის რეალობასთან კავშირში და შესაძლოა, გათვლილი იყოს იმაზე, რომ დასავლეთის დაბნეულობა და თავშეკავება გამოიწვიოს რუსეთთან ახალი კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით. ჩემი აზრით, სანქციები უნდა გავამკაროთ. სანქციები, რომლებიც რუსეთს ამ დრომდე დავუწესეთ, ძალიან უმნიშვნელოა. მათ რუსეთის ეკონომიკას დარტყმა ვერ მიაყენეს და პუტინს მოქმედების კურსი ვერ შეაცვლევინეს. დასავლეთი პუტინს უკრაინაში პოლიტიკას ვერ შეაცვლევინებს, თუ არ დაანახა, რომ ვითარებას სერიოზულად უდგება. რუსეთის ეკონომიკაზე სექტორული სანქციები უნდა დაწესდეს.

ძალიან მაკვირვებს ის, რომ დღემდე ეს არ გაგვიკეთებია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთს აკლია სტრატეგიული ხედვა და მორალური თანაგრძნობა ქვეყნისადმი, რომელსაც რუსეთი თავს დაესხა. ამასთან, კორპორაციული სიხარბეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოდით, შევხედოთ ასე: როგორია დასავლეთსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ბალანსი? ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი 12 ტრილიონი დოლარია. ეს გლობალურად ინტეგრირებული ეკონომიკაა. მას იმპორტირებული ენერგორესურსების 30 პროცენტი მისდის რუსეთისგან. მას მხარს ამერიკა უჭერს, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 16 ტრილიონია. როგორ შეიძლება ხდებოდეს ის, რომ ორტრილიონიანი ავტოგასამართი სადგური 12 და 16-ტრილიონიან ქვეყნებს აშინებს? მე ამას ვერ ვიგებ. ამ 2-ტრილიონიან ავტოგასამართ სადგურს — რომელიც, სხვათა შორის, არ არის გლობალურად ინტეგრირებული ეკონომიკა და მისი უმსხვილესი კლიენტი ევროკავშირია — სანქციები რომ დავუწესოთ, დასავლეთს, ალბათ, გარკვეული ეკონომიკური ტკივილი მიადგება, მაგრამ რუსეთისთვის ეს უდიდესი დარტყმა იქნება. სანქციები პუტინის რუსეთის მსგავს ავტორიტარულ ქვეყანასაც კი მოქმედებას შეაცვლევინებს.

— აქვს თუ არა ალიანსს ერთგვარი იდენტურობის კრიზისი იმის გათვალისწინებით, რაც ხდება ავღანეთში, სირიაში... რასაც რუსეთი უკრაინაში აკეთებს?

— გარკვეული თვალსაზრისით, პუტინმა ალიანსს ახალი სული შთაბერა. სულ მცირე, პუტინმა ნატოს გაუჩინა ახალი შანსი და ახალი შესაძლებლობები. ალიანსი ერთგვარად გზას აცდა, მიმართულება შეიცვალა... უელსის სამიტის მთავარი თემა უნდა ყოფილიყო ალიანსის მისია ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ. პუტინმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ კოლექტიური თავდაცვა ალიანსის ძალიან მნიშვნელოვანი მისიაა. თუ რამდენად გამოიყენებს ამ შანსს ნატო, ეს ჯერ არ ვიცით. მე ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობ, რომ ალიანსს აქვს შანსი, ეს მომენტი კარგად გამოიყენოს.

„ამერიკის ხმის“ პუბლიკაცია.

VOA - Georgia n

რადიო „თავისუფლება“

დედამიწის ზურგზე

ნატოში შეშფოთებული არიან რუსეთთან საინფორმაციო ომის მსვლელობის გამო და ემზადებიან ტაქტიკის შეცვლის განხილვისთვის

ალიანსის წევრები გაოცებული არიან ეფექტიანობით, რასაც რუსეთი აწარმოებს საინფორმაციო კამპანიაში უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით. სექტემბერში ნატოს სამიტზე კრემლის წინააღმდეგ მოქმედება გახდება განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა. ბალტიისპირეთში გაიხსნა კიდევ ერთი, მესამე ანალიტიკური ცენტრი.

ობამა და კემერონი: რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები უკრაინაში კონფლიქტის დეესკალაციისათვის

ორი ქვეყნის ლიდერმა „გამოთქვა შეშფოთება დაძაბულობის ზრდასთან და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში ძალადობასთან დაკავშირებით“, აღნიშნეს, რომ „ვერც ამერიკის შეერთებული შტატები, ვერც დიდი ბრიტანეთი ვერ ხედავენ პროგრესს“.

ამერიკის ოკლაჰომაში უკვე დღეებში შვიდი მიწისძვრა მოხდა

ოკლაჰომამ უკვე გაუსწრო ყველაზე სეისმურად სახიფათო შტატს — კალიფორნიას, სადაც 1 იანვრიდან 16 ივლისამდე 140 მიწისძვრა მოხდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მიწისქვეშა ბიძგების ოდენობის ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ფიქლის გაზის მოპოვებასთან შრის ჰიდრავლიკური აფეთქების მეთოდით.

არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი აღინიშნა მასობრივი უწესრიგებებით, გერმანიაში - ზეიმით

არგენტინის პოლიციამ და უსაფრთხოების ძალები იძულებული გახდნენ აგრესიული დაჯგუფებების წინააღმდეგ გამოეყენებინათ ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყალმფრქვევები. დარბევა დაიწყო მატჩის დამთავრების უმალვე „ცხრა ივლისის“ მთავარ პროსპექტზე 67-მეტრიანი ობელისკის მახლობლად, რომელიც ბუენოს-აირესის სიმბოლოდ ითვლება. მღელვარებას ხელს უწყობდა ალკოჰოლი.

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში

1978 წელს თამარაშვილის ნეშტი რეზო თაბუკაშვილმა საქართველოში ჩამოასვენა და მისი დაკრძალვა დიდუბის პანთეონში საერთო-ეროვნულ მოვლენად იქცა.

როგორ შემეძლო, არ წავსულიყავი სანტამარინელაში და პატივი არ მიმეგო ამ დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ხსოვნისათვის.

სწორედ იმ ადგილას, სადაც თამარაშვილი დაიღუპა, ზღვიდან ამოზრდილ ერთ კლდეზე დადებული ყვავილების თაიგული მარტო ჩემი და ბონდო ქურდაძის კი არა, ყველა იმათი მიტანილია, ვინც ჩვენს პროექტშია ჩართული ამა თუ იმ ფორმით.

28 ივნისი
ჩივიტავეკია
კოცნის ძეგლი კოცნის ფოტოს მიხედვით

ჰასეკურა ცუნენაგას ძეგლის გარდა, იაპონიასთან ჩივიტავეკიის კიდევ ერთი ქანდაკებაა დაკავშირებული.

ზღვისპირა ბულვარზე აღმართულ ამ გოლიათ მოკოცნავე წყვილს მუდამ უამრავი ხალხი ეხვევა, თუმცა, ბევრმა არ იცის, რას წარმოადგენს იგი.

ამერიკელი მოქანდაკის ჯონ სიუარდ ჯონსონის ეს ნამუშევარი პირველად ნიუ-იორკის ტაიმს-სკვერში

დაიდგა 2005 წელს მეორე მსოფლიო ომში იაპონიაზე გამარჯვების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. მოქანდაკეს არც ძეგლის შინაარსზე უფიქრია და არც კომპოზიციაზე: მან პირდაპირ გადაიტანა ქანდაკებაში ალფრედ აიზენშტადტის ცნობილი ფოტოსურათი, რომელიც სწორედ ტაიმს-სკვერშია გადაღებული 1945 წლის 14 აგვისტოს, იაპონიაზე გამარჯვების დღეს.

მე მოვიძიე ეს ფოტოსურათი ინტერნეტში და გვერდის ადმინს, თამო ელისაშვილს ვთხოვ, ჩემს მიერ გადაღებულ ფოტოსთან და ამ ტექსტთან ერთად ისიც დადოს კედელზე. აიზენშტადტის ეს ფოტო გადაღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ „ლაიფში“.

სხვათა შორის, არსებობს ზუსტად ამ მომენტის ამსახველი მეორე, პირველზე ნაკლებადცნობილი ფოტოც, რომელიც ლეიტენანტმა ვიქტორ იორგენსენმა გადაიღო და რომელიც მეორე დღესვე, 15 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“. ინტერნეტში ეს ფოტოც იდო და გვერდის ადმინს ამასაც ვუგზავნი ჩვენს კედელზე დასადებად.

დოკუმენტურობაზე არაფერს ვიტყვი და ორივე ფოტო თავისი მხატვრული ღირსებებით ბევრად აღემატება ჯონსონის ნამუშევარს.

ამ ისტორიულად ქცეული სცენის მონაწილე მეზღვაურისა და მოწყალების დის ვინაობის დადგენას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, რომელთა ერთგვარი შეჯამება ჟურნალმა „ლაიფმა“ 1980 წლის აგვისტოს ნომერში გააკეთა. გამოიკვეთა რამდენიმე ვერსია და რამდენიმე კომბინაცია, რომელთა თანახმად მოწყალების დის როლზე გრეტა ფრიდმანი, ბარბარა სოკოლი და ედით შაინი აცხადებენ პრეტენზიას, მეზღვაურის როლზე კი — დონალდ ბონსაკი, ჯონ ედმონსონი, უოლეს ფოულერი, კლარენს ჰარდინგი, უოლკერ ირვინგი, ჯეიმს კირნი, მარვინ კიგსბერგი, არტურ ლისკი, ჯორჯ მენდონსა, ჯეკ რასელი, ბილ სუისგუდი, გლენ მაკდაფი და კარლ მასკარელო.

ტაიმს-სკვერში აღმართული ქანდაკება ნატურალური ზომისაა და ბრინჯაოშია ჩამოსხმული. ამის გარდა, ჯონ ჯონსონმა გააკეთა თავისი ქანდაკების 7 მეტრისა და 60 სანტიმეტრის სიმაღლის ასლები ალუმინსა და პლასტმასაში, რომლებიც დაიდგა სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის — სან-დიეგოში, სარასოტაში და აგერ აქაც, ჩივიტავეკიაში.

მსოფლიოში ფოტოსურათის მიხედვით შექმნილი არაერთი ძეგლი არსებობს, მათ შორის — თბილისშიც. ვგულისხმობ ვაჟა მიქაბერიძის ქანდაკებას „სერგო ფარაჯანოვი“, რომელიც იური მეჩითოვის ცნობილი ფოტოს მიხედვით არის გაკეთებული. როგორც მოკოცნავე წყვილისა და ფოტოს მიხედვით შექმნილი სხვა მრავალი ქანდაკების შემთხვევაში, ფოტო აქაც გაცილებით მაღალი მხატვრული ღირსებების მატარებელია, ვიდრე ქანდაკება.

29 ივნისი
რომი
რომში შესვლა გაშლილი დროშებით

„ოცდაცხრა თიბათვე იყო, რომ რომს შევედით“, — წერს თავის დღიურში საბა.

29 თიბათვე, ანუ 29 ივნისი იყო, რომში რომ შევედით, — ვწერ მე.

რომში შესასვლელად რომპაპმა საბას ორი ეტლი გამოუგზავნა და იგი ორი ეტლით შევიდა ქალაქში. ეტლების რა მოგახსენოთ და, მეც ორი მანქანით შევედი რომში. წინ მე და საქართველოს ელჩი მივდიოდით საელჩოს „მერსედესით“, უკან ბონდო ქურდაძის „რენო“ მოგვყვებოდა კარგი ესკორტივით.

კახა სიხარულიძე იმ დილას სპეციალურად ჩამოვიდა ჩივიტავეკიაში. ერთად ვეწვიეთ ტარჩიზიო დე პაოლისსა და მის უნიკალურ რაფაელს, რომლის შესახებ გუშინდელ რეპორტაჟში ვწერდი. ჩვენი მოგზაურობის ორგანიზატორის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სახელით მე საქართველოს ელჩთან ერთად ტარჩიზიო დე პაოლისს და დოქტორ დიულიო ფოსკის მოგზაურობის მემორიალური მედლები გადავეცი.

მერე კახა სიხარულიძეს ჰასეკურა ცუნენაგას ძეგლი ვაჩვენე ნავსადგურის სიახლოვეს. ამ იაპონელი მოგზაურის ამბავი გუშინ უკვე გავაცანი ჩვენი გვერდის მკითხველს. ასე შემართული კახა იშვიათად მინახავს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩივიტავეკიაში სულხან-საბა ორბელიანის ძეგლიც დაიდგასო! იგივე რამ თქვა უფრო კატეგორიულად იმავე საღამოს, როცა რომის გარეუბანში საელჩოს თანამშრომლებთან ერთად ელჩის პოლიტიკური მრჩევლის დავით ბაზერაშვილის დაბადების დღე და ჩვენი რომში შესვლა აღვნიშნეთ.

იმ საღამოს, საქართველოს ელჩისა და საელჩოს თანამშრომელთა თანდასწრებით, მე მოგზაურობის სამახსოვრო მედალი გადავეცი დღეს ემიგრაციაში მცხოვრებ ცნობილ ქართველ ჟურნალისტს ბონდო ქურდაძეს, ჩემს ძველ მეგობარსა და ერთგულ საჭურველთმტვირთველს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა პროექტის პირველი ეტაპის წარმატებაში.

ჩვენი მოგზაურობის პირველი ეტაპი სწორედ რომში შესვლით დასრულდა 29 ივნისს. პარიზიდან რომამდე 1800-კილომეტრიანი გზაა, ჩვენ კი — მე და ბონდო ქურდაძემ მისი ოთხმეტრნახევრიანი ხომალდით 3000 კილომეტრზე მეტი გავიარეთ და ამ გზაზე ვეწვიეთ ყველა ქალაქსა თუ სოფელს, სადაც საბა გაჩერდა და რომელთა შესახებაც იგი თავის დღიურებში მოგვითხრობს. მოგზაურობის პირველი 20 დღის მანძილზე გადაღებულია 40 ათასზე მეტი ფოტოკადრი, სამ საათამდე ვიდეომასალა, აღწერილია რამდენიმე ათეული გეოგრაფიული პუნქტი თუ ეკლესია-მონასტერი, არაერთი საინტერესო შეხვედრა სხვადასხვა დონეზე, მათ შორის — მონაკოს პრინცის სასახლეში.

სულხან-საბა რომში 18 აგვისტომდე დარჩენილა და 40-მდე მონასტერი მოუხილავს. მეც ვაპირებ ყველა ამ მონასტრის მონახულებას და ფოტოზე თუ ვიდეოზე აღბეჭდვას. თუმცა, ზოგიერთი მათგანის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. უშედეგო აღმოჩნდა, მაგალითად, ჩვენი ცდა, მოგვეძებნა წმინდა ლაზარეს მონასტერი, სადაც სულხან-საბა რომში მოსვლისთანავე დაუბინავებიათ. ვერც ის დავადგინეთ, სად მდებარეობდა ეს მონასტერი. არადა, გულით მეწადა, რომში შესულს სწორედ იმ ადგილებში ამერჩია სასტუმრო, სადაც სამი საუკუნის წინათ სულხან-საბა დააყენეს.

ბოლოს ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „მაიამიში“ დავბინავდით ვია-ნაციონალეზე. ვიდრე საღამოს წვეულებაზე წავიდოდით, ბონდო, რომელიც პირველად იყო რომში, სალიტა-დელ-გრილოზე წავიყვანე და ის მემორიალური დაფა ვაჩვენე ამ ქუჩის ერთ ძველ შენობაზე, რომელიც ქართულ და იტალიურ ენაზე გვაუწყებს, რომ ამ შენობაში მდებარეობდა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის სტამბა, სადაც 1629 წელს პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა.

რომში ამის გარდა სხვაც ბევრია სანახავი ქართულ კვალთან თუ სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობასთან დაკავშირებით. მე ამას უკვე აგვისტოში ვიქმ, როცა კვლავ დავბრუნდები რომში, ჩვენი მოგზაურობის მეორე ეტაპზე. ხოლო ხვალ, 30-ში, თბილისში მოვფრინავ, სადაც ტიმ სევერინთან შეხვედრა მელოდება.

ზუსტად 30 წლის წინათ, 1984 წლის ზაფხულში მე მენიჩბე ვიყავი სევერინის „არგოზე“, რომელმაც ძველი არგონავტების გზა გაიმეორა საბერძნეთის კუნძულ ვოლოსიდან რიონზე მდებარე ანტიკურ კოლხურ ქალაქ ვანამდე. „არგოს“ ეკიპაჟის ბრიტანელი და ქართველი წევრები ჩვენი კაპიტნის, ტიმ სევერინის მეთაურობით 30 წლის შემდეგ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს საქართველოში.

მოგზაურობა სულხან-საბა ორბელიანის ნაკვალევზე ერთგვარად ეხმაურება ტიმ სევერინის ექსპედიციას. ერთიც და მეორეც ძველ მოგზაურობათა — მითიურთა თუ რეალურთა — რეკონსტრუქციას და მარშრუტთა გამეორებას გულისხმობს.

საბას ნაკვალევზე ჩვენი მოგზაურობის ამ პირველი ეტაპის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შეხვედრა საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე მდებარე პატარა ქალაქ მენტონში, სადაც საქართველოს ელჩმა საფრანგეთში ეკა სირაძე-დელონემ ჩვენი თავი თავის რომაელ კოლეგას, კახა სიხარულიძეს „გადააბარა“. პარიზიდან რომამდე განვლილი გზის შესახებ მე მალე მოვამზადებ ერთგვარ ანგარიშსა და ფოტოგამოფენას, რომელსაც დაინტერესებულ საზოგადოებას გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში წარვუდგენ.

მენტონის შეხვედრასთან ერთად ჩემს ანგარიშში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს აგრეთვე შესვლა რომში, რომელიც არანაკლებ გამორჩეული მოვლენა იყო საბასდროინდელი და თანამედროვე ქართული დიპლომატიის შედარების თვალსაზრისით.

ორი ეტლის გამოგზავნა პაპის მიერ და პაპის ძმისწული კარდინალის დახვედრა რომის საზღვართან, რა თქმა უნდა, დიდი ამბავია, მაგრამ არც ის არის პატარა ამბავი, როცა საბას კვალზე დამდგარს ჩივიტავეკიაში საქართველოს ელჩი ჩამოგაკითხავს და ქართულდროშიანი მანქანით წაგიყვანს რომისაკენ.

როცა საქართველოს ელჩმა კახა სიხარულიძემ საელჩოს მანქანაზე საქართველოს სახელმწიფო დროშა დაამაგრა, ბონდო ქურდაძემ ჩვენი ის ხუთჯვრიანი დროშა აფრიალა თავისი ხომალდის ფანჯრიდან, ჩვენთან ერთად რომ გამოიარა გზა პარიზიდან რომამდე.

და ასე შევედით სამი ქართველი რომში გაშლილი დროშებით.

როგორც თავის დროზე იერუსალიმში შედიოდნენ ქართველები.

პაატა ნაცვლიშვილი
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

◎ მუნდიალი – 2014

დიახ, ევროპა!

ოთხი ოქრო, ოთხი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო – ასეთია ამიერიდან ევროპული ფეხბურთის ფლაგმანისა და ყველაზე სტაბილური ნაკრების – გერმანიის სამუნდიალე მონაგარი.

ბუნდესმანშაფტის წლევანდელი ტრიუმფი ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტითაც: იოაჰიმ ლიოვის გაწვრთნილი გუნდი პირველია „ძველი სამყაროდან“, რომელმაც ნავსი გატეხა და ფურორი სამხრეთ ამერიკაში მოახდინა, რითაც კონტინენტების დავაში „ჩვენები“ კიდევ უფრო დააწინაურა – 11:9 (გერმანია, იტალია – 4-4, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი – 1:1; ბრაზილია – 5, ურუგვაი, არგენტინა – 2-2).

კვირას ლეგენდარულ „მარაკანაზე“ გამართული ფინალის შემდეგ სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმეტესობა თანხმდებოდა მთავარში – სამართალმა პური ჭამაო, თუმცა ნურც არგენტინელთა მიმართ დავიშურებთ დითირამბებს, რომლებმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ფავორიტს და რამდენიმე სახიფათო მომენტი რომ გამოეყენებინათ (იგუაინი, მესი, პალასიო), ალბათ, სენსაციაც გამოცხვებოდა.

და ბოლოს, ბრაზილიური ბატალიების ლაურეატებსაც გავეცნოთ:

საუკეთესო ფეხბურთელი – **ლიონელ მესი** (არგენტინა).

საუკეთესო მეკარე – **მანუელ ნოიერი** (გერმანია).

საუკეთესო ბომბარდირი – **ხამეს როდრიგესი** (კოლუმბია) – 6 გოლი.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი – **პოლ პოგბა** (საფრანგეთი).

დავსძენთ, რომ მომავალ ფორუმს 2018 წელს რუსეთი უმასპინძლებს.

გიორგი შოთაძე

◎ ფრაგმენტი

გუნინა დაწინაურდა, მას კვალში სამი ქართველი უდგას

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მიმდინარე ევროპის რიგით მე-15 ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ჭადრაკში 13 ივლისი დასვენების დღეა, 7 ტურის თავზე კი შეჯიბრის ერთპიროვნული ლიდერი რუსი ვალენტინა გუნინა (2501) გახლავთ.

გუნინამ შავი ფიგურებით უკრაინელი ნატალია ჟუკოვა (2451) დაამარცხა, 6.5 ქულა მოაგროვა და მე-2 ადგილზე მყოფ ლელა ჯავახიშვილს (2474), რომელმაც ზედიზედ მე-3 გამარჯვება იზეიმა, ნახევარი ქულით უსწრებს. მე-7 ტურში ლელამ თეთრებით მე-2 ნომრად განთესილ უკრაინელ მარია მუზიჩუკს (2521) სძლია და აქტივში 6.0 ქულა აქვს.

მე-8 ტურში, რომელიც 14 ივლისს შედგება, ჯავახიშვილის მეტოქე სწორედ გუნინა იქნება და თეთრებით რუსი ითამაშებს.

5:5-5:5 ქულა აქვს აქტივში ოთხ მოჭადრაკეს, რომელთაგან 2 ქართველია. სალომე მელიამ (2454) შავი ფიგურებით ბულგარელ ანტუანეტა სტეფანოვას (2488) მოუგო, ნინო ბაციაშვილმა (2417) კი შავებითვე პოლონელი მონიკა სოცკო (2462) დაამარცხა. დამატებითი მაჩვენებლებით, სალომე მესამეა, ხოლო ნინო – მე-4. მათ კვალში რუსები ოლგა გირია (2493) და ტატიანა კოსინცევა (2476) მისდევენ.

სამწუხაროდ, ზედიზედ მეორეჯერ წააგო საქართველოს ნაკრების ლიდერმა ნანა ძაგნიძემ (2541), რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე პირველი განთესვა აქვს. ძაგნიძე თეთრებით ხსენებულ კოსინცევასთან დამარცხდა და 4.5 ქულით მე-14 პოზიციაზე დაქვეითდა.

ნანას დარი მონაგარი აქვთ ნინო ხურციძეს (2460), მერი არაბიძეს (2406) და სოფიო გვეტაძეს (2356), რომელთაც დამატებითი მაჩვენებლებით, შესაბამისად, მე-19, 23-ე და 24-ე ადგილები უკავიათ. გასულ ტურში ხურციძემ თეთრი ფიგურებით გირიასთან წააგო, არაბიძემ თეთრებითვე ბულგარელ ივა ვიდენოვას (2315) სძლია, ხოლო გვეტაძე შავებით გერმანელ ელიზაბეტ პაეტს (2456) დაუზავდა.

ბულგარულ ტურნირზე კიდევ 2 ქართველი მოჭადრაკე თამაშობს, რომელთა მდგომარეობა ასეთია: 62. სოფიკო გურამიშვილი (2402) – 3.5; ...109. მადონა ბოკუჩავა (2027) – 2.0;

გუნინა-ჯავახიშვილის დაპირისპირებაზე უკვე ვთქვით, მე-8 ტურის სხვა პარტიები კი ასეთია: მელია-გირია, კოსინცევა-ბაციაშვილი, ძაგნიძე-ადრიანა ნიკოლოვა (ბულგარეთი, 2303), გვეტაძე-სტეფანოვა, იულია კოჩეტკოვა (სლოვაკეთი, 2333)-ხურციძე, ირინა ვასილევიჩი (რუსეთი, 2328)-არაბიძე.

შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობის მონაწილეთა შორის 26 ქვეყნის 106 მოჭადრაკეა, მათ შორის 96 – საერთაშორისო წოდების მქონე.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 60 000 ევროა, საიდანაც ჩემპიონის წილად 11 000 მოდის. მეორე ადგილოსანი 9 000-ს მიიღებს, მესამე – 7 000-ს, სულ კი საპრიზო თანხებით მოწინავე ოცეულში გასულები დაჯილდოვდებიან. მე-20 ადგილოსანს 1 000 ევრო ერგება.

პირველ თოთხმეტ პოზიციაზე გასული მოჭადრაკეები ქალთა შორის მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

ჩემპიონატი 11 ტურად 17 ივლისის ჩათვლით ტარდება.

◎ წყალბურთი

რუმინეთთან დამარცხდნენ

გუშინ ბუდაპეშტში დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც კონტინენტის 12 უძლიერესი გუნდი იბრძვის მედლებისთვის. მათ შორისაა საქართველოს ნაკრები, რომელმაც ამ დონის შეჯიბრებაში პირველი მატჩი გამართა. ჩვენი ბიჭების მეტოქე იყო რუმინეთის ეროვნული გუნდი (ა ჯგუფში მათთან ერთად თამაშობენ საბერძნეთი, ჩერნოგორია, იტალია, რუსეთი. ბ ჯგუფში არიან: ხორვატია, სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი). ორთაბრძოლის დასაწყისში კარპატელები 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ პირველი პერიოდის მომდევნო ოთხ წუთში ვლადიმერ ისელიძისა და იოვან პოპოვიჩის შეგირდებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქავთარაძე, ზურაბ რურუა (კაპიტანი), მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, დამირ ცრეპულია, მარინო ფრანიჩევიჩი, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ალექსანდრე რუსიშვილი) ოთხი ბურთი გაიტანეს, თუმცა ბოლო წამებზე თავადაც გაუშვეს ერთი გოლი. ეს რვაწუთიანი მონაკვეთი ქართველებმა 4:3 მოიგეს. მომდევნო სამ რაუნდში რუმინელების უპირატესობა აშკარა იყო და მათ საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც - 11:6. საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს დღეს გამართავს.

A ჯგუფის კალენდარი

15 ივლისი. საქართველო – საბერძნეთი (13:30), რუსეთი – ჩერნოგორია, რუმინეთი – იტალია.

17 ივლისი. საბერძნეთი – რუსეთი, იტალია – **საქართველო** (13:30), ჩერნოგორია – რუმინეთი.

19 ივლისი. საქართველო – რუსეთი (15:00), რუმინეთი – საბერძნეთი, იტალია – ჩერნოგორია.

21 ივლისი. რუსეთი – რუმინეთი, საბერძნეთი – იტალია, ჩერნოგორია – **საქართველო** (13:30).

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

ჭაბუკები — მსოფლიოზე

სლოვაკურ სნინაში გუშინ დაიწყო ჭაბუკ მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა. სტარტი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა აიღეს. საქართველოს ნაკრებში (მთავარი მწვრთნელი დავით ბედინაძე) იჭიდავებენ: ირაკლი ძიმისტარაშვილი (42), ლერი აბულაძე (46), ჯონი ხეცურიანი (50), დავით მარკოიძე (54), გიორგი კურტანიძე (58), ნიკოლოზ ჭიკაიძე (63), დემურ ქავთარაძე (69), გურამ ხეცურიანი (76), დავით გოგიძე (85) და ზვიად პატარიძე (120).

სერბულ ზრენჯანინში გამართულ მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე ამ ნაკრებმა 2 მედალი მოიპოვა – თითო ოქრო და ბრინჯაო. იქ ჩემპიონი ქუთაისელი პატარიძე გახდა, მესამეზე კი ოზურგეთელი ლევან ქავჟარაძე (58) გავიდა. ქავჟარაძემ უკვე დაასრულა ამ ასაკში გამოსვლა, პატარიძეს კი მსოფლიოს პირველობაზე ზედიზედ მეორედ გამარჯვების შანსი ეძლევა.

19-20 ივლისს მედლებისთვის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

შტუტგარტში ბაუტისტა-აგუტი გაჩემპიონდა

შტუტგარტის MercedesCup-ის საჩოგბურთო ტურნირის ჩემპიონი ესპანელი რობერტო ბაუტისტა-აგუტი გახდა. მან ფინალში ჩეხ ლუკაშ როსოლს 6:3, 4:6, 6:2 მოუგო. გადამწყვეტ მატჩში ჩოგბურთელებმა კორტზე საათი და 44 წუთი გაატარეს.

რეიტინგსაის 23-ე ნომერმა, 26 წლის რობერტომ ფინალში 3 ბრეიკი და 2 ეისი შეასრულა და კარიერის განმავლობაში როსოლს პირველივე დაპირისპირება მოუგო. შტუტგარტში მთავარი პრიზის მოპოვებამ ბაუტისტა-აგუტს 77315 ევრო და 250 სარეიტინგო ქულა შესძინა.

ბაუტისტა-აგუტმა ATP-ის მეორე ტურნირი მოიგო. პირველად ესპანელმა წლეულს ჰერტოგენბოსხის შეჯიბრებაზე იმარჯვა.

შტუტგარტის ტურნირის საპრიზო ფონდი 426506 ევროა.

◎ ინტერნეტიდან

ფიორელაც დადარდიანდა

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანიის ნაკრებთან მარცხი არგენტინელ ქომაგებს რა შოკშიც ჩააგდებდა, რთულად წარმოსადგენი არ უნდა იყოს. თანამემამულეებთან ერთად, „ალბილესელეტეს“ მარცხი ცნობილ არგენტინელ მოდელს ფიორელა კასტილიოსაც ნამეტანი განუცდია.

„როდესაც გერმანელებმა გოლი გაიტანეს, არც კი ვიცი, რა დამემართა. თითქოს გული გამიჩერდა. ყველას გვქონდა იმედი, რომ არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იღბალი გერმანელებისკენ იყო“ – ამბობს გულდარდიანი ფიორელა.

როგორც იცით, ფიორელა კასტილიო ლეო მესიზეა შეყვარებული და ამ შხვართმა ასულმა არაერთხელ განაცხადა, რომ თუკი ლეო მოინდომებდა, არც მასთან საწოლში ჩაკოტრიალებაზე იქნებოდა უარს. ისე კაცმა რომ თქვას, მესი ახლა ისეთ დღეშია, გულის გადაყოლება ნამდვილად არ აწყენდა.

◎ რამპა

თეატრი სეზონს გალა-კონცერტით დახურავს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — **დავით კინწურაშვილი**) 162-ე თეატრალურ სეზონს 20 ივლისს 19 საათზე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო თეატრში გალა-კონცერტით დახურავს.

გალა-კონცერტზე იმღერებენ თეატრის სოლისტები: **ირინე ალექსიძე, მაყვალა ასპანიძე, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, მარიკა მაჩიტიძე, ელენა პუტილოვა, ირინე რატიანი, მარიამ ქობალიანი, ნინო ჩაჩუა, ხათუნა ჭოხონელიძე, ელენე ჯანჯალია, სალომე ჯიქია, სულხან გველესიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, კახაბერ თეთვაძე, ზურაბ იაშვილი, ლეგი იმედაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ირაკლი მურჯიკნელი, ტარიელ ჭიჭინაძე, ზაალ ხელაია, ვახტანგ ჯაშიაშვილი, ოთარ ჯორჯიკია.**

გალა-კონცერტში მონაწილეობს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ავთანდილ ჩხენკელი**, ქორმაისტერი — **შალვა შაორშაძე**) და ორკესტრი (კონცერტმაისტერი — **ლელა მჭედლიძე**). კონცერტს წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩიანო.**

გალა-კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია: შესრულდება სცენები გაეტანო დონიცეტის, ჯუზეპე ვერდის, რუჯერო ლეონკავალოს, ჟორჟ ბიზეს, ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან.

პაპუნიძეთა საგვარეულო ღრმა მწუხარებას გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ამაგდარი და ღირსეული პიროვნების, დიდებული მამულიშვილის, ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწის და მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსის

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო.

აჭარას მუდამ ემახსოვრება ედუარდ შევარდნაძის და მისი ერთგული თანამებრძოლის, აჭარის იმჟამინდელი თავკაცის ვახტანგ პაპუნიძის საერთო ძალისხმევით აჭარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის წლები.

გვეამაყება, რომ ეს ჭეშმარიტად საოცარი და ფრიად ამაღლებული ბუნების ადამიანი, მისთვის ჩვეული ენაწყლიანობით ეფერებოდა და ადიდებდა აჭარას და მის მოსახლეობას, რომელმაც მრავალ გასაჭირს გაუძლო, დიდხანს გმინავდა სხვის უღელქვეშ, მაგრამ სამშობლოს დიდი სიყვარულისა და თავდადების წყალობით შეძლო ფეხი აეწყო ქვეყნის მაჯისცემისთვის და დაუღალავი შრომით გამოეჭედა საკუთარი მომავალი.

გამოხატავს რა უღრმეს პატივისცემას და მადლიერებას, პაპუნიძეთა საგვარეულო უერთდება აჭარის მოსახლეობის განწყობას, სამძიმარს უცხადებს ედუარდ შევარდნაძის ოჯახს და ქართველ ხალხს ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო.

პაპუნიძეთა საგვარეულოს სახელით, ვანო პაპუნიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

◎ სხვა გაზეთიდან

შური არ არის მანკი?

რა რეაგირებას ვახდენთ გარშემომყოფთა წარმატებებზე

უფლის ათი მცნებიდან ერთ-ერთი გვმოძღვრავს: „არა გული-გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა...“ მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ზოგჯერ რთულია იცავდე მორალურ ნორმებს. და ჩვენ ხშირად გვსურს, შევცქერით, გვშურს...

კაცობრიობის გენიოსები ერთხმად ამტკიცებენ, რომ შური — მანკი და ბოროტებათა შორის უკიდურესია. და რომ სხვათა წარმატებებისადმი მტრული დამოკიდებულება — პირდაპირი გზაა უბედურებებისა და დაავადებებისაკენ. მართლაც, შურიან ადამიანებს აწუხებთ უძილობა, თავის ტკივილები, ნერვული სისტემის დაუძლურება.

მაგრამ შური შეიძლება შეფასდეს დადებითი თვალსაზრისითაც. როგორც შეჯიბრებების მექანიზმი, რომელიც ჩნდება ყოველთვის, როდესაც რაღაც სასურველს ხედავ. და მტკიცედ გადაწყვეტ, რომ ეს აუცილებლად გამოგივა! მეტოქეობა — ჩვენთვის ჯანსაღი თვისებაა. ეს ბუნების კანონია, რომლის ღირმეშიც გადარჩენის ინსტინქტია.

მიღებულია, შური გავყოთ ორად — „შავად“ და „თეთრად“. ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ რამდენადაც ერუდირებულია, ზნეობრივი, ინტელექტუალური და განათლებული ადამიანი, მით მეტად მისი შური არის მხოლოდ მოტივის აღმძვრელი სასურველი მიღწევისთვის. ამიტომაც გარკვეული თვალსაზრისით შური არც ისე ცუდია.

ჩავიხედოთ საკუთარ თავში

მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი შური შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ იმან, რისადმიც განვიცდით დიდ ინტერესსა და მოთხოვნილებას (ანდა გულწრფელად გვჯერა, რომ ეს გვჭირდება). ამას გარდა, ჩვენ მივეჩვიეთ ყოველთვის ვადარებდეთ საკუთარ თავს სხვას, ვზომავდეთ ჩვენი ცხოვრების წარმატებულებასა და კომფორტს სხვა ადამიანების საზომით. ჩვენ ვუყურებთ მათ, ვისაც ოჯახში აქვს კეთილდღეობა. ვუდარებთ მათ თავს, ვისი ქმარიც მუშაობს, არ აქვს ცუდი ჩვევები, მათაც, ვინც შეძლო შეეძინა აგარაკი ან ბინა, გაუმართლა მუშაობაში და ასე შემდეგ. დაუგდეთ ყური საკუთარ თავს და დაფიქრდით, რა არის თქვენთვის — წარმატებული ცხოვრების კრიტერიუმი? რა არის თქვენთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანი? რას აქცევთ უწინარეს ყოვლისა ყურადღებას სხვა ადამიანთან საუბრის დროს? როდესაც სამსახურში ვინმე საუბრობს თავის ქალიშვილებისა და ვაჟიშვილების, სიძეების, შვილიშვილების, ქმრის შესახებ — რას განიცდით? შურის ბოროტ გრძნობას, სიხარულს იმის გამო, რომ „თქვენ უკეთეს ვითარებაში ხართ“, თუ სიხარულს მოსაუბრის გამო?

ყველაზე ხშირად შედარების პროცესი ჩვენს საარგებლოდ არ მთავრდება. და რომ თავი არ ვიგრძნოთ დათრგუნვილად და წარუმატებლად, ჩვენთვის უფრო იოლია განვიცადოთ გაუგებრობა, ბოროტება, ირონიული დამოკიდებულება იმის გამო, რაც თავად ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს: აიო, კარგად ვიცით, თუ სად და როგორ იშოვეთ ეს ფულიო.

თვალსაზრისი

დიახ, საკუთარი თავის შედარება სხვასთან ბუნებრივია და ნორმალური. აი ის კი, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენს წარმატებებს პიროვნული და პროფესიული თვალსაზრისით (ანდა მათს არქონას) დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე. იქნება ეს შავი შური და უფრო წარმატებული მეგობრების დაგმობა, ან თეთრი შური, შინაგან გასროლას რომ მოგვაგონებს, რომელიც ერთი მიმართულებით წარმართავს გონების მუშაობას: როგორ და რა უნდა გავაკეთო, რომ მეც ასე მქონდეს.

ფსიქოლოგებს აქვთ ადამიანთა რეაქციის ორი ტიპის აღმნიშვნელი ტერმინი: ექსტრაპუნიტიური და ინტრაპუნიტიური. პირველის დროს სხვა ადამიანების ქცევებში ჩვენ ვეძებთ მსოფლიო ბოროტების მიზეზებს. მეორის დროს — ვერთვებით საკუთარ ფიქრებში, ვრთავთ ჩვენში პასუხების, შესაძლებელთა, რეზერვებისა და მოტივების ძიების რეჟიმს. „თეთრი“ შურის დროს ჩვენში „მუშაობს“ სწორედ რეაქციის მეორე ტიპი.

თქვენი შურთ?

„სხვა მხატვრების შური ჩემთვის ყოველთვის წარმატების თერმომეტრი იყო“, — ამბობდა სალვადორ დალი. ვიღაცა კმაყოფილებით ტრაბახობს წარმატებების შესახებ და ნაცნობების წინაშე ლაპარაკობს თავისი ცხოვრების ბრწყინვალე ამბებზე. მაგრამ ჩვენი უმრავლესობა არ ჩქარობს ისაუბროს თავის შესახებ. როგორ გავიგოთ, გულწრფელად უხარიათ თქვენს ამხანაგებსა და კოლეგებს თქვენი წარმატებები? ღირს კი გაანდოთ მათ თქვენი პატარა მიღწევები, თუ უმჯობესია არავის არასოდეს გაუზიარო ისინი, და, სახლიდან გამოსვლის დროს, ყოველი შემთხვევისათვის, ტანსაცმლის ქვეშ გაიკეთო ქინძისთავი, რომ არავის „თვალი არ გეცეს“?

ყველაზე ხშირად შური ინტუიტიურ დონეზე იგრძნობა. წესი კი „თვალები — სულის სარკეაო“ დღემდე არ კარგავს თავის აქტუალობას. როდესაც თანამოსაუბრეს ესმის ინფორმაცია, რომელიც აშკარად უფუჭებს განწყობილებას, მისი თვალის გუგები შესამჩნევად ვიწროვდება, იცვლება გამოხედვა და სახის გამომეტყველება. თუნდაც იგი ამ დროს მცდელობით იღიმებოდეს.

ამიტომ ეცადეთ, ყველას არ გაუმჟღავნოთ თქვენი საიდუმლოებანი. ერთი-ორი მახლობელი ადამიანი — მსმენელთა საკმაო წრეა.

თეთრი შურის წესები

მოახდინეთ ყველა თქვენი სურვილის სისტემატიზაცია, ჩამოწერეთ ისინი. განალაგეთ ისინი პრიორიტეტის წესით და თითოეული მათგანის მოპირდაპირე მხარეს მიუთითეთ, თუ კერძოდ, რა უნდა გააკეთოთ მისი განხორციელებისათვის. თუ საჭიროა, ჩამოწერეთ დაწვრილებით — ასე უკეთესიც იქნება. რაც უფრო კონკრეტულად ჩამოწერთ, უფრო კარგიც იქნება. რაც უფრო კონკრეტულად ჩამოწერთ, მით უფრო სწრაფად გაგიჩნდებათ სასურველი ნივთი ან ობიექტი.

იქეთ თავი. დასახული მიზნის მიღწევა მართლაც უფრო მაღალორგანიზებულს გაგხდით და აგწევთ ერთი საფეხურით მაღლა.

როდესაც ვიღაცის რაიმე სასურველს ხედავთ, გაუგზავნეთ მას (ხმამაღლა ან თქვენთვის) აღფრთოვანებული გზავნილი: „რა კარგია, რომ ეს გაქვს“! — და შეეცადეთ, ეს იყოს მთელი გულწრფელობით. როდესაც წარმოთქვამთ პოზიტიური განწყობილების სიტყვების რიგს, ტვინი დროთა განმავლობაში იწყებს „გაგებას“ და ნამდვილად რეაგირებას ამგვარ სიტუაციაზე მხოლოდ ნიშნით „პლუს“.

ნუ ებრძვით შურს. მას თავიდან ნუკი მოიშორებთ, არამედ აღიარეთ.

შეხედეთ სხვებს მხოლოდ იმისთვის, რომ წაახალისოთ საკუთარი თავი. თქვენს ბედს ნუ შეადარებთ სხვათა ბედს. ყოველ ადამიანს თავისი გზა აქვს, ყველას თავისი შესძლებლობანი. თუმცა, შეგვიძლია, სხვაგვარად აღვიქვათ საკუთარი თავი და გამოვიყენოთ საკუთარი შინაგანი რესურსები.

ЗОЧОЕВ

სანთელი

თვალსაჩინო ინჟინერ-გეოლოგი

ის გარდაიცვალა 2003 წელს 73 წლის ასაკში. ეს ახალგაზრდული ასაკი არ არის, მაგრამ მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ფართო საზოგადოებას დაწყვიტა გული. ბატონი **იური არჩაია** მდიდარი და უზადო ბიოგრაფიის ადამიანი გახლდათ, დაფასებული ყველა საქმეში, სადაც კი მას მოღვაწეობა მოუწია — უერთგულესი მეგობარი, დიდებული პიროვნება და მოქალაქე, თვალსაჩინო ინჟინერ-გეოლოგი, ღრმად განსწავლული მეცნიერი-მკვლევარი.

1952 წელს იურიმ წითელ დიპლომზე დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით.

შრომითი მოღვაწეობა დაიწყო უკრაინაში ქ. დნეპროპეტროვსკში. 1957 წელს გააგრძელა აფხაზეთში რ/ს „საქმინგეოკაპტაჟმინწყლებში“ სოხუმის გეოლოგიური პარტიის უფროსად. 1976 წელს დაინიშნა რ/ს „საქმინგეოკაპტაჟმინწყლების“ უფროსად, სადაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს კურორტების მშენებლობასა და განვითარებაში.

მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, შვედეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ფინეთი და სხვა.

1976 წელს მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, რესპულიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი.

სულით მხნეობას ბატონი იური ბოლომდე არ მიუტოვებია, ჯანის სიმრთელემ კი, სავალალოდ, უღალატა, მაგრამ მისთვის არასოდეს უღალატია მაღალ ადამიანურ ღირსებას, შინაარსიანად იცხოვრა და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. 14 ივლისს მას 85 წელი შეუსრულდებოდა.

შვილები, მეგობრები, საქართველოს გეოლოგიური საგზაგადოება

დედა მარგარიტა, მეუღლე ია თევდორაძე, შვილები ეკა, მაია, შვილიშვილები ნიკოლოზი, ანდრია, ანასტასია, ალექსანდრე, და დალი, დისწული მერაბ ხუნჯგურუა, სიძეები ზაზა აზმაიფარაშვილი, ნიკა კვალიაშვილი, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურმან ივანეს ძე მარღანია

პანაშვიდი 15, 16 VII, 17 სთ. გამოსვენება 17 VII, 14 სთ. თბილისი, ვარკეთილი-3, I მ/რაიონი, 34-ე კორპუსი. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

მეუღლე ვილენ (ვილი) გაბაშვილი, შვილები კონსტანტინე (კოტე), ქეთო გაბაშვილები, რძალი ინნა სარალიძე, შვილიშვილები ნატალია, გიორგი, ალექსანდრე (სანდრო), გიორგი პშენიჩნიკოვები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნატალია გაბაშვილი-გედე

პანაშვიდი 15, 16 VII, 18 სთ. მისამართი: ნუცუბიძის ქ. №30. გამოსვენება კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიიდან. 17 VII, 14 სთ.

თამაზ, ემილია, გიორგი, ინნა სარალიძეები, ქსენია მიშონოვა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის მძახალი

ნატალია გაბაშვილი-გედე

და უდიდესი გულისტკივილით თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს ვილი გაბაშვილს და შვილებს კოტე და ქეთო გაბაშვილებს.

ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს უახლოეს მეგობარს ვილი გაბაშვილს მეუღლის

ნატაშა გაბაშვილის

გარდაცვალების გამო.

◎ სულიერება

მარიამ ღვთისმშობლის კვართის დღესასწაული

15 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულს აღნიშნავს.

მართლმადიდებელი ეკლესია ოდითგანვე პატივს და თაყვანს სცემდა სიწმინდეებს. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება სიწმინდეები, რომლებიც სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებიდანაა წამოღებული.

...ამბობენ, რომ ღვთისმშობლის კვართთან უამრავი სასწაული და კურნება აღესრულებოდა.

ვლაქერნის (ზუგდიდში) ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრში საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ, მორწმუნეები ეამბორებიან და თაყვანს სცემენ ქრისტიანული სამყაროს ამ უდიდეს სიწმინდეს.

* * *

16 ივლისს კი — გერგეტობაა, სიყვარულის დღე!

...წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს „ღმერთი არის სიყვარული“ სულ რამდენიმე წელია, რაც დაწესდა ყოვლადმინდა სამების კიდევ ერთი დღესასწაული — სიყვარულის დღე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: **„დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რა არის სიყვარული... ადამიანი ვერასდროს ჩასწვდება ღვთის არსს, ასევე ვერ ახსნის, რა არის სიყვარული... ერთი მეცნიერი ამბობს — მე არ მინახავს ღმერთი, მე ვნახე მხოლოდ მისი კვალი, რომელიც გამოვლინდა ბუნებაში“.**

...და, მართლაც ყველაფერში ვლინდება, რომ ღმერთი არის სიყვარული. ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება ადამიანებს შორის და ზოგადად დედამიწაზე.

გიული ლიპარტია

◎ გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

როდის ისწავლიან ადამიანთა გაცოცხლებას?

წავიკითხე, რომ ცნობილმა გერმანელმა ჰერონტოლოგმა ანდერძი დატოვა — სიკვდილის შემდეგ გაყინონ მისი სხეული, ვინაიდან, მისი დაანგარიშებით, 150 წლის შემდეგ მეცნიერებს ექნებათ შესაძლებლობა, გააცოცხლონ იგი. მაგრამ მაცივარში საუკუნენახევარი ყოფნის განმავლობაში ორგანიზმი არ გაფუჭდება?

გ. ბერიძე, ბორჯომი.

— ადამიანის სხეული, რომელიც გაყინეს თხევადი აზოტის დახმარებით ცელსიუსის 196 გრადუსამდე, შეიძლება შეუცვლელი დარჩეს ასეულობით წლების განმავლობაში, თანაც ამ დროს ცვლილებების შეუქცევადი პროცესი მის უჯრედებში არ ხდება. მაშასადამე, არის შანსი, მოხდეს მთელი ორგანიზმის რეანიმირება, მათ შორის ტვინისაც, — მიაჩნიათ ქართველ სპეციალისტებს. — უფრო მეტიც, პროგნოზების გარკვეული ნაწილი გერმანელებისაზე უფრო ოპტიმისტურია: პირველი კლიენტების „აღდგომას“ უკვე ამ საუკუნის შუა პერიოდში ელოდებიან. სხვათა შორის, კრიოკონსერვირებას (ასე ეწოდება ამ პროცესს) აწარმოებენ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და რუსეთში (ამერიკელებს, მაგალითად, გაყინული აქვთ 121 ცხედარი, რუსებს — 37). იმათი რიცხვი, ვისაც სურს, „გადასახლდნენ“ მაცივარში, იზრდება, მიუხედავად მაღალი ფასებისა (ზოგიერთ ქვეყანაში ფასი 250 ათას დოლარამდე აღწევს).

რამდენი დავლიოთ?

სიცხეში სულ წყლის სმა მინდა, მაგრამ მეშინია, ვაითუ ზედმეტი სითხისგან შეშუპებები გამიჩნდეს. რამდენი წყლის დალევა შეიძლება ცხელ დღეს?

ირინა, დუშეთი

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე მაისურაძე:

— სითხის მოხმარების მკაცრად დადგენილი ნორმები არ არსებობს. იმდენი უნდა დალიოთ, რამდენიც გინდათ, რომ კომფორტულად იგრძნოთ თავი. ჯანმრთელ ადამიანს არ უნდა ეშინოდეს სითხის სიჭარბისა — ზედმეტ წყალს ორგანიზმი თავად გამოიყვანს. აი სითხის უკმარისობა კი, პირიქით, შეიძლება სახიფათო იყოს. თუ პირში სიმშრალეს გრძნობთ, ჩნდება სისუსტე, მოდუნება, თავის ტკივილი და თავბრუსხვევა და რამდენიმე საათის განმავლობაში არ არის შარდის გამოყოფა, ალბათ თქვენ გაქვთ გაუწყალოება და თქვენთვის უბრალოდ აუცილებელია, შეივსოთ სითხის უკმარისობა. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შეეჩვიეთ წყურვილის მოკვლას. ტკბილი გაზიანი სასმელები და ალკოჰოლი მხოლოდ გააძლიერებს გაუწყლოებას. ეს უნდა გავითვალისწინოთ ცხელ ამინდში.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— იყავი კბილის ექიმთან?
— ვიყავი.
— მერე, ახლა არ გაწუხებს კბილი?
— არ ვიცი, ექიმმა დაიტოვა...

* * *

— რალაც არ გაზის ხომ ტანზე კარგად ეს კოსტიუმი? — ეუბნება სიდედრი სიძეს ქორწილის დღეს.
— არა უშავს, მეორე ქორწილზე უკეთესი იქნება.

* * *

— რა იყო, რატომ მიყურებ ასე უცნაურად? ჩემთან დარჩენა გინდა? — ეკითხება გოგო ბიჭს.
— დარჩენა არა, მაგრამ ყოფნა — კი.

* * *

შეფი თავის ხელქვეითს ესტუმრა. მასპინძელს სახლში თუთიყუში ეჯდა გალიაში, რომელმაც სტუმრის დანახვისთანავე დაიწყო ყვირილი:

— შეფი ნაძირალა, შეფი ნაძირალა, შეფი ნაძირალა!

— ახლავე მიდიხარ სამზარეულოში, თავს წაიცლი ამ თუთიყუშს და შემწვარს მომიტანს! — ეუბნება გაღიზიანებული სტუმარი მასპინძელს.

— ვერ ვიზამ ამას, ჯერ ერთი, ძალიან შევეჩვიე მას და, მეორეც, მასში 500 დოლარი მაქვს გადახდილი.

— გაძლევ 1000 დოლარს, წახვალ და შემიწვავ! წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლია, სამსახურში არ მოხვიდე.

ხელქვეითმა გამოიყვანა თუთიყუში გალიიდან, წავიდა სამზარეულოში, იქ კარადაში დამალა იგი, მის ნაცვლად ქათამი შეწვა და შეფს მიუტანა.

კმაყოფილმა შეფმა ხორცი ბოლომდე შეჭამა.

— ფულთან დაკავშირებით როგორაა საქმე? — ეკითხება ბოლოს ხელქვეითი.

— რა ფულთან დაკავშირებით? — უკვირს შეფს.

— ხომ ვამბობდი, შეფი ნაძირალაა-მეთქი! — ისმის კარადიდან თუთიყუშის ხმა.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ მილოცვა

ჩვენს საყვარელ ქალბატონს, ღირსეულ მოქალაქეს, დედას, ბებიას, ახლობლების სიყვარულით გამორჩეულ ადამიანს **ელენე იროდიონის ასულ კუჭუხიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. დაე თქვენი ქართველქალობა, სიკეთე და ადამიანების სიყვარული კიდევ დიდხანს ათბობდეს ჩვენს გულებს.

სიყვარულით
თენგიზ ქავთარაძე

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24